

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

დამტკიცებულია
აკადემიური საბჭოს სხდომაზე
ოქმი № 2 "23" აპრილი 2012 წელი
ბრძ. № 01-01/30 "23" მაისი 2012 წელი
რექტორი გიორგი მათიაშვილი

შეტანილი ცვლილება:

1. რექტორის 2017 წლის 27 ნოემბრის ბრძანება №01-01/84 – (უნივერსიტეტის სახელწოდების ცვლილება)

საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი)

I. ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

1. სახელწოდება:

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახე:

სასწავლო უნივერსიტეტი

3. ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული

პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს).

4. საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: საქართველო, 0101, თბილისი, სამღერეთის ქ. 5.

ტელეფონი: (995 32) 266-15-12

(995 32) 224-65-90

ფაქსი: (995 32) 224-65-91

ელ-ფოსტა: info@gttu.edu.ge

ვებ-გვერდი: www.gttu.edu.ge

სასწავლო უნივერსიტეტის ხელმძღვანელი:

რექტორი, პროფესორი გიორგი მათიაშვილი

ტელეფონი: (995 32) 224-65-91

ელ-ფოსტა: gia.matiashvili@gttu.edu.ge,

სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი და ECTS-ის კოორდინატორი:

ვაჟა ხუჭუა

ტელეფონი: (995 32) 266-15-12 +116

ელ-ფოსტა: vazha.khutchua@gttu.edu.ge;

khutchua@internet.ge

სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი:

თალიკო ჟვანია

ტელეფონი: (995 32) 266-15-12 +129

(599) 90-65-95

ელ-ფოსტა: taliko.zhvania@gttu.edu.ge

5. აკადემიური კალენდარი:

- საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა 4 წელი; მოიცავს 172 კვირას, 6000 საათს, მათ შორის 1800 საკონტაქტო საათს და ითვალისწინებს ECTS -ის 240 კრედიტის დაგროვებას. ერთ სასწავლო წელი მოიცავს 60 კრედიტს (1 კრედიტს შეესაბამება 25 საათი);
- სასწავლო წლის ხანგრძლივობა 43 კვირა;
- სასწავლო წელი იყოფა ორ სემესტრად: შემოდგომის და გაზაფხულის;
- შემოდგომის სემესტრის ხანგრძლივობა 22 კვირა: 19 სასწავლო და სასესიო კვირა, 2 კვირა დამატებითი გამოცდებისთვის, 1 კვირა საშობაო არდადეგები;
- საგაზაფხულო სემესტრის ხანგრძლივობა 21 კვირა: 19 სასწავლო და სასესიო კვირა, 2 კვირა დამატებითი გამოცდებისთვის.

6. საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება და აკადემიური ხელმძღვანელობა

6.1. საგანმანათლებლო პროგრამები ბაკალავრიატში

პროგრამების დასახელება	პროგრამის ხელმძღვანელი
1. ბიზნესის ადმინისტრირება <ul style="list-style-type: none"> • მენეჯმენტი; • მარკეტინგი; • ფინანსები 	სრული პროფესორი ლალი ჩაგელიშვილი-აგლაძე სრული პროფესორი ლალი ჩაგელიშვილი-აგლაძე სრული პროფესორი კობა ჩაგელიშვილი ასოცირებული პროფესორი დავით ვეკუა
2. ტურიზმი	სრული პროფესორი მაია უკლება
3. სამართალი	სრული პროფესორი ედიშერ ფუტყარაძე
4. ჟურნალისტიკა	სრული პროფესორი მარინა ვეკუა
5. ფსიქოლოგია	სრული პროფესორი ნონა ახალაშვილი

6.2. საგანმანათლებლო პროგრამები მაგისტრატურაში

პროგრამების დასახელება	პროგრამის ხელმძღვანელი
1. საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი	სრული პროფესორი ლალი ჩაგელიშვილი-აგლაძე
2. საერთაშორისო ბიზნესის ადმინისტრირება (გთუნი-ს და დიდი ბრიტანეთის ბირმინგემის კოლეჯის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა)	ფილოსოფიის დოქტორი გოვინდ დესაი, სრული პროფესორი ლალი ჩაგელიშვილი-აგლაძე
3. საბანკო საქმე	ასოცირებული პროფესორი დავით ვეკუა
4. რეკრეაციული ტურიზმი	სრული პროფესორი მაია უკლება
5. კერძო/ბიზნეს სამართალი	ასოცირებული პროფესორი შალვა ქურდაძე
6. სისხლის სამართალი	სრული პროფესორი ედიშერ ფუტყარაძე
7. მასობრივი კომუნიკაცია	სრული პროფესორი მარინა ვეკუა
8. სოციალური ფსიქოლოგია	სრული პროფესორი ნონა ახალაშვილი

6.3. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების მიმართულებები

სამაგისტრო პროგრამების დასახელება	მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის მიმართულება
1. საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი	ბიზნესი და ეკონომიკა
2. საერთაშორისო ბიზნესის ადმინისტრირება (გთუნი-ს და დიდი ბრიტანეთის ბირმინგემის კოლეჯის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა)	
3. საბანკო საქმე	
4. რეკრეაციული ტურიზმი	
5. კერძო/ბიზნეს სამართალი	სამართალი
6. სისხლის სამართალი	
7. მასობრივი კომუნიკაცია	სოციალური მეცნიერება
8. სოციალური ფსიქოლოგია	

7. აკადემიური ხარისხების/კვალიფიკაციების სია

ბაკალავრიატი

- 7.1. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში
- 7.2. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მარკეტინგში
- 7.3. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში
- 7.4. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში
- 7.5. სამართლის ბაკალავრის კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი
- 7.6. სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი ჟურნალისტიკაში
- 7.7. სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი ფსიქოლოგიაში

მაგისტრატურა

- 7.8. ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტში
- 7.9. საერთაშორისო ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
- 7.10. ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საბანკო საქმეში
- 7.11. ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი რეკრიაციული ტურიზმში
- 7.12. სამართლის მაგისტრი კერძო/ბიზნეს სამართალში
- 7.13. სამართლის მაგისტრი სისხლის სამართალში
- 7.14. სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრის სპეციალობით მასობრივი კომუნიკაცია
- 7.15. სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი სოციალურ ფსიქოლოგიაში

8. საგანმანათლებლო პროგრამების მიღების/რეგისტრაციის პროცედურები

- 8.1. საგანმანათლებლო პროგრამები მუშავდება უნივერსიტეტის შესაბამის პროგრამულ მიმართულებაზე/კათედრაზე;
- 8.2. საგანმანათლებლო პროგრამების ამოქმედების ძირითადი ნაბიჯებია:
 - პროგრამული მიმართულების/კათედრის წარმატებული აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა;
 - შრომის ბაზრის მოთხოვნა ან სოციალური დაკვეთა პროგრამის ამოქმედების (რეგიონალურ/ევროპულ დონეზე) პერსპექტიულობასა და აუცილებლობაზე;
 - პროგრამის საჭიროების განსაზღვრა დაინტერესებულ მხარეებთან (დამსაქმებლები, პროფესიონალები და პროფესიული ორგანიზაციები) კონსულტაციების საფუძველზე;
 - აკადემიური თვალსაზრისით პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობა;
 - პროგრამისათვის აუცილებელი რესურსების (ადამიანური და მატერიალური) ხელმისაწვდომობა.
- 8.3. პროგრამას შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით, ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.
- 8.4. პროგრამების ამოქმედება ფორმდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

9. უნივერსიტეტის ძირითადი ნორმატიული დოკუმენტები

- 9.1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი: **20455524**
- 9.2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თარიღი:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 24.11.2008 წლის #1022 ბრძანება შპს „თბილისის ეკონომიკური ურთიერთობებისა და სამართლის უნივერსიტეტისათვის“ უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ, ლიცენზიის N 0812124.

2009 წლის 02 ივნისის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრის საგადასახადო ინსპექციის უფროსის N19488/055-20455524 ბრძანებით განხორციელდა ცვლილება შპს „თბილისის ეკონომიკური ურთიერთობებისა და სამართლის უნივერსიტეტის“ რეესტრში და ნაცვლად შპს „თბილისის ეკონომიკური ურთიერთობებისა და სამართლის უნივერსიტეტისა“ ეწოდა შპს „თავართქილამის ეკონომიკური ურთიერთობებისა და სამართლის უნივერსიტეტი“.

აღნიშნულთან დაკავშირებით გამოცემულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 13 აგვისტოს ბრძანება N 618.

2009 წლის 01 დეკემბრის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრის საგადასახადო ინსპექციის უფროსის N21318/005-20455524 ბრძანებით განხორციელდა ცვლილება შპს „თავართქილადის ეკონომიკური ურთიერთობებისა და სამართლის უნივერსიტეტის“ რეესტრში და ნაცვლად შპს „თავართქილადის ეკონომიკური ურთიერთობებისა და სამართლის უნივერსიტეტისა“ ეწოდა შპს „ გურამ თავართქილადის უნივერსიტეტი“.

აღნიშნულთან დაკავშირებით გამოცემულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 დეკემბრის ბრძანება N 1199.

თბილისის საგადასახადო ინსპექციის თბილისის რეგიონული ცენტრის გლდან-ნამალადვეის განყოფილების მიერ განხორციელდა ცვლილება შპს „გურამ თავართქილადის უნივერსიტეტის“ რეესტრში და მისი საფირმო სახელწოდებაა – შპს „გურამ თავართქილადის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი“.

აღნიშნულთან დაკავშირებით არსებობს ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან (22.06.2010წ.)

9.3. შინაგანაწესი (თარიღი).

9.4. ფაკულტეტების, ბაკალავრიატის და მაგისტრატურის დებულებები.

II. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამებზე

საგანმანათლებლო პროგრამები ბაკალავრიატში ზოგადი ინფორმაცია

1. საბაკალავრო პროგრამის მოთხოვნები

უნივერსიტეტის ბაკალავრიატი არის უმაღლესი განათლების პირველი საფეხური - ისეთი საგანმანათლებლო პროგრამების ერთობლიობა, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობების საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია პირის მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის და მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის.

2. საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- ა) საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მქონე პირს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე;
- ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სტუდენტის სტატუსის მოპოვების უფლება შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესების საფუძველზე;
- გ) პროგრამაზე სწავლის უფლება შეუძლია მოიპოვოს გურამ თავართქილადის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტის ან სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტმა გარე მობილობის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის და გთუნი-ს სასწავლო პროცესის რეგულირების წესის მოთხოვნათა შესაბამისად.

3. საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა კრედიტებით

საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ECTS -ის 240 კრედიტის დაგროვებას. 1 კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს, 1 ასტრონომიული საათი = 60 წთ. კრედიტი ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას. კრედიტი დროის ერთეულში (სთ.) ასახავს სამუშაოს იმ მოცულობას, რომელიც საჭიროა სტუდენტის მიერ პროგრამის ერთი კომპონენტის ასათვისებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად.

ერთი სასწავლო წელი შედგება ორი, შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებისგან, მოიცავს 43 კვირას, მათ შორის 38 სასწავლო და სასესიო კვირას, 4 კვირას დამატებითი

გამოცდებისათვის (2 კვირა თითოეულ სემესტრში), 1 კვირას საშობაო არდადაგებისათვის.

სემესტრის განმავლობაში ბაკალავრმა სასურველია დაძლიოს საშუალოდ 30 კრედიტი (30 კრედიტი = 750 სთ.), ხოლო წელიწადში - 60 კრედიტი, თუმცა, პროგრამის სპეციფიკიდან და სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

საბაკალავრო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ, აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით, სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არაუმეტეს 6 სემესტრი) განმავლობაში.

4. საგანმანათლებლო პროგრამების აღწერა

ბაკალავრიატი

1. ბიზნესის ადმინისტრირება (მარკეტინგი, მენეჯმენტი, ფინანსები)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი შეესაბამება გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მისიას, იგი ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და ჩამოყალიბებულია შემდეგ პუნქტებად:

- კონკურენტუნარიანი მენეჯერების, მარკეტინგისა და ფინანსების მართვის სპეციალისტების მომზადება, რომელთაც შეეძლებათ თანამედროვე ტექნოლოგიებითა და მეთოდებით წარმართონ საქმიანობა ბიზნესის და ეკონომიკის სამრეწველო და მომსახურების სფეროების როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორებში, სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებში;
- სტუდენტის მობილობის ხელშეწყობა არა მარტო საქართველოში არსებულ უნივერსიტეტებში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც;
- მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელებისათვის მომზადება.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამამ უნდა უზრუნველყოს ბიზნესის სფეროსათვის აუცილებელი **ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების განვითარება.**

კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამის დამთავრების შემდეგ ბაკალავრს, პროგრამის სტრუქტურით განსაზღვრული სპეციალობის მოდულებიდან, მის მიერ არჩეული ერთ-ერთი სპეციალობის შესაბამისად უნდა გააჩნდეს შემდეგი კომპეტენციები:

1.1. მარკეტინგის სპეციალობის მოდული

1.1.1. ზოგადი კომპეტენციები

დასკვნის უნარი

ბაკალავრს შეუძლია:

- პირველად და მეორად ინფორმაციულ წყაროებზე დაყრდნობით მონაცემთა ლოგიკური განზოგადება და დასკვნის გაკეთება;
- მისი კომპეტენციის ფარგლებში ბაზარზე მყიდველობითი ქცევის მოტივაციის სწორი ანალიზი და გადაწყვეტილებების შემუშავება;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში არსებული ინფორმაციის საფუძველზე ოპტიმალური გადაწყვეტილების საჭიროების დასაბუთება;
- მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში სამომხმარებლო ბაზრის ახალი მონაცემების ანალიზი, პრობლემის გადაჭრის გზების შემუშავება.

კომუნიკაციის უნარი

ბაკალავრს გააჩნია:

- ორგანიზაციისთვის მარკეტინგული ინფორმაციის მნიშვნელობის განსაზღვრისა და მასთან მუშაობის უნარი;
- დროის ორგანიზებისა და მართვის უნარი; როგორც მშობლიურ, ასევე უცხო ენაზე ზეპირი და წერიტი კომუნიკაციის უნარი; პრეზენტაციების უნარი;

- თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების უნარ-ჩვევები;
- სამუშაო ჯგუფის წევრებთან შეთანხმებული მუშაობის უნარი.
- პროფესიულ კონტექსტში ბიზნესის ფუნქციური ქვედანაყოფების წევრებთან შეთანხმებული მუშაობის უნარი.

სწავლის უნარი

ბაკალავრს შეუძლია:

- საკუთარი სწავლების პროცესის მართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით;
- დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით სწავლის გაგრძელება;
- აქვს უწყვეტ რეჟიმში სწავლისა და ცოდნის გაღრმავების უნარი.

ღირებულებები

ბაკალავრი ფლობს:

- კულტურულ ფასეულობებს და მათი ფორმირების პროცესების ტექნოლოგიას;
- მისი კომპეტენციის ფარგლებში შეუძლია კომპანიის „ფასეულობათა ჯაჭვის“ განსაზღვრა;
- გათვითცნობიერებული აქვს პროფესიული ქცევისა და ეთიკის ნორმები.

1.1.2. დარგობრივი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება

ბაკალავრმა უნდა იცოდეს:

- გლობალური მარკეტინგული სტრატეგიები და მომხმარებელთა ქცევის თავისებურებები;
- საერთაშორისო მარკეტინგის თანამედროვე კონცეფციები;
- თანამედროვე ბიზნესში ბრენდის მართვის მნიშვნელობა;
- საქონლის წინაწილის მეთოდები და ფორმები;
- PR-ის ფუნქციები და მიზნები;

ბაკალავრი უნდა ერკვეოდეს:

- სოციალური ფენების მსყიდველობითი გადაწყვეტილებების თავისებურებებში;
- ფიზიკური დისტრიბუციის თავისებურებებში;
- საინოვაციო პოლიტიკის მახასიათებლებში.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება

ბაკალავრი უნდა ფლობდეს:

- ბრენდის ანალიზის და ბრენდის დაგეგმვის უნარ-ჩვევებს;
- ბრენდის მშენებლობის ინსტრუმენტებს;
- ელ. კომერციის საბაზისო კონცეფციებს;

ბაკალავრს უნდა შეეძლოს:

- ბაზრის შესწავლა მომხმარებელთა მოთხოვნილებების გათვალისწინებით;
- ბრენდინგში შეცდომების დადგენა და მისი კომპეტენციის ფარგლებში მასში ცვლილების შეტანა;
- საზღვარგარეთული მიზნობრივი ბაზრის შესახებ მონაცემების მოძიება და დამუშავება;
- საერთაშორისო მარკეტინგული კომპლექსის ელემენტების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება.

1.1.3. ბაკალავრის პროფესიული საქმიანობის სფერო, ობიექტი და საქმიანობის სახეები

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისა და ბაკალავრის ხარისხის მიღების შემდგომ ბაკალავრის საქმიანობა ხორციელდება როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სტრუქტურების მარკეტინგის მართვის სფეროში და მიმართულია ორგანიზაციული რესურსების ოპტიმალურ გამოყენებაზე;

ბაკალავრის პროფესიული საქმიანობის სფეროა ეკონომიკის რეალური სექტორი, საბანკო სისტემა, ბიზნესი და მეწარმეობა, კომერციული და/ან არაკომერციული ორგანიზაციის მარკეტინგის სისტემის ორგანიზებასა და ფუნქციონირებაში მონაწილეობა;

ბაკალავრმა თავისი საქმიანობა წარმატებით შეუძლია განახორციელოს საქართველოში არსებულ ეროვნულ და საერთაშორისო კომპანიებში, როგორც სამრეწველო, ისე მომსახურების სფეროების ერთობლივ საწარმოებში; მონაწილეობა მიიღოს საწარმოთა და მათ ქვედანაყოფთა მარკეტინგულ მართვაში, მარკეტინგული კვლევებში, მარკეტოლოგის/მარკეტინგის მენეჯერის ასისტენტის, თანაშემწის, მარკეტინგის სპეციალისტის, გაყიდვების მენეჯერის და სხვა შესაბამის პოზიციებზე; მონაწილეობა მიიღოს კომპანიის სტრატეგიის განხორციელების, მარკეტინგული

გეგმის, მარკეტინგული სტრატეგიებისა და ღონისძიებების შემუშავების პროცესში.

1.2. მენეჯმენტის სპეციალობის მოდული

1.2.1. ზოგადი კომპეტენციები

დასკვნის უნარი

ბაკალავრს უნდა გააჩნდეს:

- თეორიული კონცეფციებისა და პრაქტიკული მონაცემების გამოყენებით არგუმენტირებული დასკვნის გაკეთების უნარი;
- თავისი კომპეტენციების ფარგლებში ანალიზის ჩატარების, აგრეთვე, მეთოდოლოგიური და მეთოდური ხასიათის მონოგრაფიებისა და სტატიების საფუძველზე, პრობლემის შემეცნებისა და გააზრების უნარი;
- მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის სფეროში წამოჭრილი პრობლემების შეფასების, მათი რეგულირების მიმართულებათა და ღონისძიებების გამოკვეთის უნარი;
- მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის სფეროში შექმნილი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ქმედებათა ალტერნატიული ვარიანტებიდან საუკეთესოს შერჩევის უნარი.

კომუნიკაციის უნარი

ბაკალავრს უნდა შეეძლოს:

- ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის სფეროში დისკუსიებში მონაწილეობა, წერილობითი ანგარიშის მომზადება და ზეპირი პრეზენტაცია როგორც მშობლიურ, ასევე ერთ-ერთ უცხო ენაზე;
- ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის სფეროში თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება;
- ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის სფეროს გამოცდილ თანამშრომლებთან თუ ხელმძღვანელთან, აგრეთვე კვალიფიციურ სპეციალისტებთან საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების ჩატარება.

სწავლის უნარი

ბაკალავრს უნდა შეეძლოს:

- ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის სფეროში საკუთარი სწავლის პროცესის წარმართვა თეორიული წყაროებისა თუ ინფორმაციული რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით;
- საკუთარი ცოდნის დონის შეფასება და მისი გაღრმავების მიზნით შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრა;
- ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის სფეროში აპრობირებულ ახალ ტექნოლოგიათა დამოუკიდებლად ათვისება შემდგომი პროფესიული განვითარების უზრუნველსაყოფად.
- დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით სწავლის გაგრძელება.

ღირებულებები

ბაკალავრი ფლობს:

- წარმატებული მენეჯმენტისათვის ეთიკურ და მორალურ ღირებულებებს, შეუძლია მისი კორპორატიულ კულტურაში გატარება;
- გათვითცნობიერებული აქვს პროფესიული ქცევისა და ეთიკის ნორმები; შეუძლია გუნდური მუშაობის პრინციპების დაცვა.

1.2.2. დარგობრივი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება

ბაკალავრმა უნდა იცოდეს:

- ორგანიზაციის მართვის სისტემის ძირითადი შემადგენელი ელემენტების დადგენა;
- მენეჯერის როლი და ადგილი ორგანიზაციაში;
- კონტროლის პროცესის მოდელის ელემენტები;
- საწარმოო სისტემების შემადგენლები, წარმოების დაგეგმვის მექანიზმი და მისი ძირითადი ელემენტები, ახალი პროდუქტის დამუშავებისა და ათვისების ელემენტები და ეტაპები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება

ბაკალავრი უნდა ფლობდეს:

- არასტანდარტულ სიტუაციათა შეფასების უნარ-ჩვევებს;
- ანტიკრიზისულ ღონისძიებათა დასახვისა და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გადაწყვეტილებათა მიღების უნარ-ჩვევებს;
- ორგანიზაციის ოპერაციული სისტემის ფორმირების უნარ-ჩვევებს.

ბაკალავრს უნდა შეეძლოს:

- ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად კონკრეტულ სიტუაციაში შინაგანი და გარეგანი გარემოს განმსაზღვრელი ფაქტორების გამოვლენა;
- გარემოს შესაბამისად პერსონალის კოორდინაცია და რეგულირება;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში ინოვაციური პროცესების პროგნოზირება და დაგეგმვის მაჩვენებლების რანჟირება;
- ორგანიზაციული მენეჯმენტის ეკონომიკურ-ორგანიზაციული, ადმინისტრაციული და სოციალურ-ფსიქოლოგიური მეთოდების პრაქტიკაში გამოყენება;
- მინიმალური ზედამხედველობის პირობებში პასუხისმგებლობის ეფექტიანი დელეგირება;
- პირადი კარიერის მართვა;
- გუნდური მუშაობა.

1.2.3. ბაკალავრის პროფესიული საქმიანობის სფერო, ობიექტი და საქმიანობის სახეები

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისა და ბაკალავრის ხარისხის მიღების შემდგომ ბაკალავრის საქმიანობა ხორციელდება როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სტრუქტურებში;

ბაკალავრის პროფესიული საქმიანობის სფეროა ეკონომიკის რეალური სექტორი, საბანკო სისტემა, ბიზნესი და მეწარმეობა, კომერციული და/ან არაკომერციული ორგანიზაციის ანალიზის, დაგეგმვის, ორგანიზების, მმართველობით გადაწყვეტილებათა მომზადებისა და მიღების პროცესებში მონაწილეობა;

ბაკალავრმა თავისი საქმიანობა წარმატებით შეუძლია განახორციელოს საქართველოში არსებულ ეროვნულ და საერთაშორისო კომპანიებში, როგორც სამრეწველო, ისე მომსახურების სფეროების ერთობლივ საწარმოებში, სადაზღვევო კომპანიებში, ტურიზმის დეპარტამენტსა და სააგენტოებში, მონაწილეობა მიიღოს საწარმოთა და მათ ქვედანაყოფთა მართვაში, ქვედა ან შუალედურ რგოლში “ხელმძღვანელის”, “სპეციალისტის”, მენეჯერის თნაშემწის და სხვა შესაბამის პოზიციებზე.

1.3. ფინანსების სპეციალობის მოდული

1.3.1. ზოგადი კომპეტენციები

დასკვნის უნარი

ბაკალავრს უნდა შეეძლოს:

- ფინანსურ ურთიერთობათა სფეროში მონაცემის შეგროვება, დამუშავება და ინტერპრეტაცია;
- პირველად და მეორად ინფორმაციულ წყაროებზე დაყრდნობით მონაცემთა ლოგიკური განზოგადება და დასკვნა;
- მინიმალური ზედამხედველობის პირობებში მონაცემთა კრიტიკული ანალიზის საფუძველზე კვალიფიციური დასკვნის ჩამოყალიბება და პრობლემების გადაჭრის გზების შემუშავება.

კომუნიკაციის უნარი

ბაკალავრს გააჩნია:

- საფინანსო-საკრედიტო ოპერაციათა წარმოებისა და მართვისას დამოუკიდებელი და გუნდური მუშაობის უნარი;
- როგორც მშობლიურ, ასევე უცხო ენაზე ზეპირი და წერიტი კომუნიკაციის უნარი;
- თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების უნარ-ჩვევები;
- ზეპირი და წერიტი კომუნიკაციის და პრეზენტაციის უნარი.

სწავლის უნარი

ბაკალავრს შეუძლია:

- საკუთარი ცოდნის დონის შეფასება და მისი გაღრმავების მიზნით შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრა;
- ფინანსურ სფეროში აპრობირებულ ახალ ტექნოლოგიათა დამოუკიდებლად ათვისება შემდგომი პროფესიული განვითარების უზრუნველსაყოფად;

- დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით საკუთარი ცოდნის შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრა.

ღირებულებები

ბაკალავრი ფლობს:

- კულტურულ ფასეულობებს და მათი ფორმირების პროცესების ტექნოლოგიას;
- აქვს გათვითცნობიერებული პროფესიული ქცევისა და ეთიკის ნორმები ფინანსურ გადაწყვეტილებებთან მიმართებაში.

1.3.2. დარგობრივი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება

ბაკალავრმა იცის:

- ფინანსების, ფულის, და კრედიტის არსი და მათი როლი ბიზნესის მართვაში;
- ფინანსურ-საბანკო სისტემის მნიშვნელობა, ფინანსური საქმიანობის ძირითადი პრინციპები, ხელისუფლების საფინანსო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიმართულებები.
- საბანკო საქმიანობის თავისებურებები და მათი როლი ეკონომიკაში,
- აცნობიერებს ბანკების ფუნქციონირების პრინციპებს და მეთოდებს, მართვის სისტემას, ფლობს ძირითადი საბანკო ოპერაციების წარმოების ტექნოლოგიას;
- საჯარო ფინანსების ფუნქცია, თავისებურებები და სტრატეგია;
- საგადასახადო და საბიუჯეტო პოლიტიკის თავისებურებები და ძირითადი ელემენტები, საბიუჯეტო მოწყობის და საბიუჯეტო სისტემის ორგანიზაცია;
- იცნობს, ინვესტიციების და ფინანსური ბაზრების ეკონომიკური არსის და სახეობების, ინვესტირების ძირითადი ეტაპებს, ფინანსური ბაზრების ძირითადი თავისებურებებს, საინვესტიციო პროექტების რაობას და მათი დაფინანსების მეთოდების .
- აცნობიერებს საინვესტიციო გარემოს, ინვესტიციური რისკების თავისებურებებს, ქვეყნის ეკონომიკური განვითარებაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობას.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

ბაკალავრს შეუძლია:

- მინიმალური ზედამხედველობის პირობებში ძირითადი საფინანსო-საბანკო ოპერაციების განხორციელება;
- კომპანიის ფინანსური რისკების რანჟირების პროცესში მონაწილეობის მიღება.
- გარკვეული მითითებების საფუძველზე შეუძლია ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული ფინანსების ორგანიზაციის მნიშვნელოვანი საკითხების და ოპერაციათა განხორციელება, ფინანსურ ურთიერთობათა განსაზღვრა.
- შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ფირმის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში. მინიმალური ზედამხედველობის პირობებში შეუძლია გააკეთოს მისი ფინანსური მდგომარეობის სტაბილურობის და გადახდისუნარიანობის ანალიზი, მონაწილეობა მიიღოს ფინანსური ოპერაციების და პროცესების რეგულირებასა და დაგეგმვაში.
- მინიმალური ზედამხედველობის პირობებში შეუძლია საინვესტიციო პროექტისა და ბიზნეს გეგმის შედგენა, ფასიანი ქაღალდების პორტფელის ჩამოყალიბება.
- მინიმალური ხელმძღვანელობით შეუძლია ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტებზე და საპროგნოზო მაჩვენებლებზე დაყრდნობით ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების ძირითადი პარამეტრების განსაზღვრა. საქართველოს საბიუჯეტო წყაროების და საბიუჯეტო სისტემების სტრუქტურის ანალიზი და შეფასება.

1.3.3. ბაკალავრის პროფესიული საქმიანობის სფერო, ობიექტი და საქმიანობის სახეები

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისა და ბაკალავრის ხარისხის მიღების შემდგომ ბაკალავრის საქმიანობა ხორციელდება როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სტრუქტურებში;

ბაკალავრის პროფესიული საქმიანობის სფეროა ეკონომიკის რეალური სექტორი, საბანკო სისტემა, ბიზნესი და მეწარმეობა, კომერციული და/ან არაკომერციული ორგანიზაციის ფინანსების მოზიდვისა და რეგულირების, მომგებიანი ფინანსური პროდუქტის შექმნისა და რეალიზაციის პროცესებში მონაწილეობა;

ბაკალავრმა თავისი საქმიანობა წარმატებით შეუძლია განახორციელოს საქართველოში არსებულ ეროვნულ და საერთაშორისო კომპანიებში, როგორც სამრეწველო, ისე მომსახურების

სფეროების ერთობლივ საწარმოებში, სადაზღვევო კომპანიებში, ტურიზმის დეპარტამენტსა და სააგენტოებში, მონაწილეობა მიიღოს საწარმოთა და მათ ქვედანაყოფთა ფინანსური რესურსების მართვაში, ქვედა ან შუალედურ რგოლში ფინანსური მენეჯერის თანაშემწედ, სპეციალისტად, ოპერატორად, ფინანსურ კონსულტანტად და სხვა შესაბამის პოზიციებზე.

1.4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისების და ინგლისური ენის შესაბამის დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენის შემდეგ, კურსდამთავრებულს ენიჭება მის მიერ არჩეული სპეციალობიდან ერთ-ერთი კვალიფიკაცია:


- ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მარკეტინგში – **Bachelor of business Administration in Marketing;**
- ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში -**Bachelor of Business Administration in Management;**
- ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში - **Bachelor of Business Administration in Finance;**

და ეძლევა აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დიპლომი. დიპლომთან ერთად გაიცემა ევროპის კომისიის, ევროსაბჭოსა და UNESCO/CEPES -ის მიერ შემუშავებული მოდელის შესაბამისი ორენოვანი “დიპლომის დანართი“.

1.5. საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნაზე, გააჩნია მოქნილობის მაღალი დონე და აძლევს შესაძლებლობას სტუდენტს სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების, კომბინაციის, სპეციალობის მოდულის არჩევის ხარჯზე შექმნას ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

პროგრამის სტრუქტურა



2. ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი შეესაბამება გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მისიას, იგი ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და ჩამოყალიბებულია შემდეგ პუნქტებად:

- ტურისტის ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტებისა და გამოცდილების გათვალისწინებით კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომელთაც შეეძლებათ ტურიზმის მართვის თანამედროვე ტექნოლოგიებითა და მეთოდებით წარმართონ თავიანთი პროფესიული საქმიანობა ტურიზმის ბიზნესის სფეროს როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორებში;
- საზოგადოებრივად პასუხისმგებლიანი კადრის მომზადება, რომელიც აღიარებს ტურიზმის მნიშვნელოვან როლსა და მისიას საზოგადოების მდგრადი განვითარების, ქვეყნის ბუნებრივი გარემოსა და კულტურულ-ისტორიული ღირებულებების დაცვისა და განვითარების საქმეში;
- სტუდენტთა უზრუნველყოფა მაგისტრატურაში სწავლის გასაგრძელებლად აუცილებელი ცოდნითა და უნარ-ჩვევებით.

2.1. სწავლის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამამ უნდა უზრუნველყოს ტურიზმის ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსათვის აუცილებელი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების განვითარება. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამის დამთავრების შემდეგ ბაკალავრს უნდა გააჩნდეს შემდეგი კომპეტენციები:

2.1.1. ზოგადი კომპეტენციები

დასკვნის უნარი

ბაკალავრს უნდა გააჩნდეს:

- თეორიული კონცეფციებისა და პრაქტიკული მონაცემების საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი;
- თავისი კომპეტენციების ფარგლებში, ტურიზმის ბიზნესის სფეროში მიმდინარე პროცესების ანალიზისა და ლოგიკური განზოგადების უნარი;
- ტურიზმის ბიზნესსა და ტურისტულ ორგანიზაციაში წამოჭრილი პრობლემების ამოცნობისა და მათი რეგულირების მიმართულებათა და ღონისძიებათა გამოკვეთის უნარი;
- მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში, ტურიზმის ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის სფეროში შექმნილი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ქმედებათა ალტერნატიული ვარიანტებიდან საუკეთესოს შერჩევის დასაბუთების უნარი;
- ტურისტული ბიზნეს-გარემოს მარკეტინგული კვლევების შედეგების განზოგადების და დასკვნის უნარი.

კომუნიკაციის უნარი

ბაკალავრს უნდა შეეძლოს:

- ტურიზმის მართვის სფეროში ბიზნეს-კომუნიკაცია, დისკუსიებში მონაწილეობა, წერილობითი ანგარიშის მომზადება და ზეპირი პრეზენტაცია. ასევე, უნდა შეეძლოს ერთ-ერთ უცხო ენაზე (უპირატესად ინგლისურად) სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის მომზადება;
- ტურიზმის სფეროში თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების (მათ შორის GDS, GIS,) გამოყენება;
- სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის დარგთან დაკავშირებული თეორიული თუ რაოდენობრივი ინფორმაციის თანმიმდევრული გადაცემა;
- ურთიერთობა სხვადასხვა კულტურათა წარმომადგენლებთან.

სწავლის უნარი

ბაკალავრს უნდა შეეძლოს:

- ტურიზმის ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის სფეროში საკუთარი სწავლის პროცესის წარმართვა თეორიული წყაროებისა თუ ინფორმაციული რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით;
- საკუთარი ცოდნის დონის შეფასება და მისი გაღრმავების მიზნით შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრა;
- ტურიზმის ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის სფეროში აპრობირებულ ახალ ტექნოლოგიათა დამოუკიდებლად ათვისება შემდგომი პროფესიული განვითარების უზრუნველსაყოფად;
- დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით სწავლის გაგრძელება.

ღირებულებები

ბაკალავრი უნდა ფლობდეს:

- ტურიზმის მართვის ეთიკურ და მორალურ ღირებულებებს, ამ ღირებულებების კორპორატიულ კულტურაში გატარების უნარს;
- პროფესიული ქცევისა და ეთიკის ნორმებს;
- ტურიზმის, როგორც ბუნებრივი, ისტორიულ-კულტურული და ეთნიკური ღირებულებების დამცველის როლისა და მნიშვნელობის აღიარების უნარს;
- დარგის მდგრადი განვითარებისადმი პროფესიულ და სოციალურ პასუხისმგებლობას;
- კულტურათაშორის განსხვავებათა პატივისცემის უნარს.

2.1.2. დარგობრივი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება:

ბაკალავრი უნდა აცნობიერებდეს ტურიზმის როლსა და მისიას და ჰქონდეს ტურიზმის სფეროს ფართო ცოდნა, კერძოდ მან უნდა იცოდეს:

- ბიზნესის და მენეჯმენტის თეორიები, კონცეფციები, ძირითადი პრინციპები;
- ტურიზმის თეორია, კონცეფციები, პრინციპები;
- ტურიზმზე მოქმედი მიკრო და მაკროეკონომიკური პროცესები;
- მარკეტინგის საფუძვლები და ტურიზმის მარკეტინგი;
- ფინანსების მართვა;
- ტურიზმის სამართლებრივი ნორმები;
- სტრატეგიული მართვის მეთოდები;
- საერთაშორისო ტურიზმის ტრენდები, პროგნოზები;
- მასობრივი და ალტერნატიული ტურიზმის სახეები;
- მსოფლიოსა და საქართველოს უმთავრესი დესტინაციები, მათი მართვის მეთოდები, DMO-ს მნიშვნელობა და მისი მართვის ხერხები;
- ადგილობრივი საზოგადოებაზე დაფუძნებული ტურიზმის როლი და მნიშვნელობა ტურიზმის მდგრად განვითარებაში;
- ტურისტული საწარმოს ფუნქციები, მისი ეფექტიანობა და მართვის ხერხები (ტუროპერეტიინგი);
- ტურებისა და ექსკურსიების დაგეგმვა და განხორციელება;
- სტუმარმასპინძლობის მნიშვნელობა ტურიზმში, სასტუმროებისა და რესტორნების როლი, განვითარება და მართვის ძირითადი ასპექტები;
- რეკრეაციის არსი და საკურორტო მეურნეობა, მათი განვითარება და მართვის ასპექტები;
- სატრანსპორტო ინდუსტრიის როლი და მნიშვნელობა ტურიზმში;
- კულტურული ტურიზმი, მისი არსი, განვითარება და მართვის ასპექტები;
- ტურიზმის სპეციალური სახეები (MICE, კულტურული, სათავგადასავლო, ეკოტურიზმი) მათი თავისებურებანი, განვითარება და მართვის ასპექტები;
- ანიმაციის როლი ფანდრაიზინგში, მისი განვითარება და მართვა;
- მოლაპარაკებების წარმოების, ბრენდებისა და გაყიდვების მართვის ძირითადი ასპექტები ;
- კროსკულტურული მენეჯმენტის ძირითადი ასპექტები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება

ბაკალავრი უნდა ფლობდეს:

- ტურისტული საქმიანობისათვის სტანდარტული (ცალკეულ შემთხვევაში, არასტანდარტული) მეთოდების პრაქტიკული გამოყენების უნარს;
- ტურიზმის დარგში ცვლილებების, ტრენდების, კავშირურთიერთობების, ქსელების, გაერთიანებების სტანდარტულ და არასტანდარტულ სიტუაციათა შეფასების უნარ-ჩვევებს;
- ტურიზმის ბიზნესისა და/ან ორგანიზაციული პროცესების მართვისა და მართვის პროცესის გაუმჯობესების დემონსტრირების უნარებს ;
- ორგანიზაციის სტრატეგიიდან გამომდინარე, ადამიანური რესურსების მართვის დემონსტრირების უნარს;
- ტურისტული პროდუქტისა და მომსახურების მარკეტინგული კვლევის უნარს;
- ტურისტული საწარმოს მართვის, ტურის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარს;
- ექსკურსიების დაგეგმვისა და ორგანიზების უნარს;
- ტურიზმის მასობრივი და სპეციალური სახეების (საკონგრესო, სათავგადასავლო, კულტურული, ეკოლოგიური) ტურების შექმნის უნარს;
- სავსე კვლევების უნარს.

ბაკალავრს უნდა შეეძლოს:

- ტურისტული ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად, კონკრეტულ სიტუაციაში, შინაგანი და გარეგანი გარემოს განმსაზღვრელი ფაქტორების გამოვლენა;
- დარგის ფინანსური და სამართლებრივი ასპექტების გაანალიზება;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში, დესტინაციების მართვის დაგეგმვა;
- ზედამხედველობის პირობებში კვლევის ჩატარება;
- ბიზნეს-გეგმის შედგენა და მართვა;
- ტურიზმთან დაკავშირებული დოკუმენტაციისა და ინფორმაციის თავმოყრა, ინტერპრეტაცია, შენახვა და მართვა;
- ტურიზმის სფეროში წამოჭრილი პრობლემების შეფასება და მათი გადაჭრის გზების განსაზღვრა.

2.2. ბაკალავრის პროფესიული საქმიანობის სფერო, ობიექტი და საქმიანობის სახეები

სწავლების პროცესში მიღებული სავალდებულო თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისათვის გამოიყენებულ უნარ-ჩვევათა გათვალისწინებით, ბაკალავრს შეუძლია დასაქმდეს: სახელმწიფო, საზოგადოებრივ და/ან კერძო სექტორში; ტურისტულ საწარმოებში; ტურისტულ სააგენტოებში; სასტუმროებში; რესტორნებში; სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებში; და დაიკავოს ქვედა ან შუალედურ რგოლში “ხელმძღვანელის”, “სპეციალისტის”, მენეჯერის თანამდებობა, განახორციელოს პროფესიული საქმიანობის ნებისმიერი სახე: საორგანიზაციო-მმართველობითი, ადმინისტრაციულ-სამეურნეო და სხვა.

მისი კომპეტენციის ფარგლებში შეუძლია განახორციელოს ტურისტულ საწარმოთა და მათ ქვედანაყოფთა მართვა; მონაწილეობა მიიღოს დაგეგმვის, ორგანიზების, მმართველობით გადაწყვეტილებათა მომზადებისა და მიღების პროცესებში; მოამზადოს ადმინისტრაციულ-ნორმატიული დოკუმენტები; ეფექტიანად წარმართოს და/ან მონაწილეობა მიიღოს ორგანიზაციის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირებაში; მართოს ორგანიზაციული სტრუქტურის ოპტიმიზების პროცესი თანამდებობრივი უფლებამოსილების ფარგლებში; მონაწილეობის მიიღოს კომპანიის კრიზისიდან გამოყვანაში; დაგეგმოს წარმოების განვითარების ოპერაციული სისტემა და უზრუნველყოს მისი ეფექტიანი მართვა; მონაწილეობა მიიღოს კომპანიის სტრატეგიული გეგმებისა და ინოვაციური პროექტების შემუშავებასა და მათი ადმინისტრირებაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ კურსდამთავრებულს მცირე საწყისი კაპიტალით, შეეძლება საკუთარი ბიზნესის დაწყება, რაც ტურიზმს გამოარჩევს სხვა დარგებისაგან.

2.3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია


საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისების და ინგლისური ენის შესაბამის დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენის შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი: **ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში – Bachelor of Business Administration in Tourism**

და ეძლევა საბაკალავრო პროგრამის გავლის დამადასტურებელი სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დიპლომი. დიპლომთან ერთად გაიცემა ევროპის კომისიის, ევროსაბჭოსა და UNESCO/CEPES-ის მიერ შემუშავებული მოდელის შესაბამისი ორენოვანი “დიპლომის დანართი“.

2.4. პროგრამის სტრუქტურა

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნაზე, გააჩნია მოქნილობის მაღალი დონე და აძლევს შესაძლებლობას სტუდენტს სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების, კომბინაციის, არჩევის ხარჯზე შექმნას ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

პროგრამის სტრუქტურა



3. სამართლის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი შეესაბამება გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მისიას, იგი ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე, მიღწევადია და ნათლად არის ჩამოყალიბებული შემდეგ დებულებებში:

- ა) ბაკალავრს ჩამოუყალიბოს და განუვითაროს დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე დაფუძნებული ღირებულებები; უმაღლესი განათლების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სწავლის ხარისხის შეთავაზებით აღზარდოს კვალიფიციური, შრომისა და საგანმანათლებლო ბაზარზე კონკურენტუნარიანი, საზოგადოებრივად პასუხისმგებლიანი იურისტი; შეუქმნას პირობები მისი პიროვნული რესურსების რეალიზებისათვის.
- ბ) დაეუფლოს სამართლის სოციალურ-ისტორიულ ასპექტებს; შეიძინოს ცოდნა ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, სამართლის თეორიების, ინსტიტუტების, მატერიალური და პროცესუალური სამართლის ნორმების, ზოგადსამართლებრივი პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების შესახებ.
- გ) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო დისციპლინების თეორიული ასპექტებისა და პრაქტიკული ელემენტების გამოყენებით მოამზადოს პირი მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის.
- დ) ბაკალავრს გააცნოს სამართლის სფეროსათვის დამახასიათებელი თანამედროვე ცოდნის ძირითადი ასპექტები, არსებული სიახლეები, განვითარების ტენდენციები, თეორიები, ისტორია და საერთაშორისო გამოცდილება.
- ე) ჩამოუყალიბოს პროფესიული მიდგომა სამართლის სფეროში საქმიანობისათვის; მოამზადოს სტუდენტი სამართლის სფეროში ბაკალავრის კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული საქმიანობისათვის.

3.1. სწავლის შედეგები

საბაკალავრო პროგრამით დასახული მიზნების თანმიმდევრული და სრულფასოვანი განხორციელება უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატის) კვალიფიკაციათა აღმწერის და სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული უნდა ფლობდეს შემდეგ კომპეტენციებს:

3.1.1. ზოგადი კომპეტენციები

დასკვნის უნარი

ბაკალავრს აქვს:

- სამართლებრივი ხასიათის ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებულ დასკვნების ჩამოყალიბების უნარი;
- სამართლებრივი პრობლემების მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის საფუძველზე მათი გადაწყვეტის თეზისის განვითარებისა და შერჩეული მიდგომის დასაბუთების უნარი;
- სამართალსუბიექტების ქცევის განსაზღვრა და მათი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების გზების შესახებ არგუმენტირებული დასკვნების გაკეთების უნარი;
- მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების პრინციპების გამოყენების მიზანშეწონილობის დასაბუთების უნარი.

კომუნიკაციის უნარი

ბაკალავრს აქვს:

- ინფორმაციის მშობლიურ და უცხო ენებზე მოძიების და იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ზეპირი და წერილობითი ფორმით გადაცემის უნარი;
- დარგის თავისებურებების გათვალისწინებით თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარი;
- საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში საქმიანი შეხვედრებისა და პრეზენტაციების ორგანიზების უნარი; ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის უნარი.

სწავლის უნარი

ბაკალავრს აქვს:

- საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერების სიახლეების მიდევნებისა და ცოდნის მუდმივად განახლების უნარი;
- საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასების, შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრის უნარი;
- სამართლის სფეროში ინტერესის სფეროს გაფართოებისა და სხვადასხვა წყაროების გამოყენებით ცალკეული საკითხების შესწავლის უნარი.

ღირებულებები

ბაკალავრი:

- ფლობს იურისტისათვის აუცილებელ მორალურ ღირებულებებს;
- იცავს გუნდური მუშაობის პრინციპებს;
- იცავს ეროვნული სამართლის სისტემისათვის საჭირო ღირებულებებს;
- იცნობს იურისტის საქმიანობის ეთიკის ფარგლებს;
- მოწოდებულია, ხელი შეუწყოს ინდივიდთა უფლებების განხორციელებას და იმოქმედოს სამართლიანობის, ჰუმანიზმის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით.

3.1.2. დარგობრივი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება:

ბაკალავრს აქვს სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას, აცნობიერებს სფეროს კომპლექსურ საკითხებს.

ბაკალავრს აქვს:

- ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპებისა და ინსტიტუტების ფართო, ხოლო საჯარო, კერძო ან სისხლის სამართლის სიღრმისეული ცოდნა.

ბაკალავრმა იცის:

- ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებები, პრინციპები და ინსტიტუტები;
- სამართლის ნიშნები;
- განმარტების მეთოდები;
- ქართული სამართლის ისტორიული წყაროები;
- სახელმწიფო მოწყობის საკითხები;
- ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხები;
- ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები;
- ადმინისტრაციული სამართლის არსი და პრინციპები;
- სამოქალაქო სამართლის პრინციპები და სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობები;
- ქონებრივი სამართალი;
- ვალდებულებითი სამართლის ფუნდამენტური პრინციპები;
- სახელშეკრულებო და კანონისმიერი ურთიერთობები;
- საკორპორაციო სამართლებრივი ურთიერთობები;
- საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლებრივი ურთიერთობები;
- დანაშაულის არსი, სახეები და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებები;
- საერთაშორისო საჯარო სამართლის ძირითადი პრინციპები;
- იურიდიული ეთიკის საფუძვლები;
- სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართალწარმოება;
- დანაშაულის გამოძიების ტაქტიკა და მეთოდები;
- სასამართლო უნარ-ჩვევების თითოეული ფაზის და ნაფიც მსაჯულთა ინსტრუქციის შედგენის ძირითადი პრინციპები.

ბაკალავრი აცნობიერებს:

- სამართლის არსს;

- სამართლის ფუნდამენტური პრინციპების მნიშვნელობას სამართლებრივი სისტემის ფორმირებისათვის.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება

ბაკალავრს აქვს:

- სამართლებრივი პრობლემების იდენციფიცირების უნარი;
- სამართლებრივი პრობლემების გადაწყვეტისათვის ნორმატიული საფუძვლების მოძიების, განმარტებისა და გამოყენების უნარი;

ბაკალავრს შეუძლია:

- იურიდიული შინაარსის დოკუმენტების (ნორმატიული აქტის პროექტის, ხელშეკრულების, საჩივრის, სარჩელის და ა. შ.) შედგენა;
- სამართლის ნორმათა ურთიერთმიმართებისა და ურთიერთდამოკიდებულების გათვალისწინებით კონკრეტული საკითხების გადაწყვეტა;
- კვალიფიციური იურიდიული დასკვნებისა და კონსულტაციების გაცემა, ნორმატიული აქტების სამართლებრივი ექსპერტიზის განხორციელება;
- შესაბამისი პროცესუალური ნორმების დაცვით იურიდიული მოქმედებების შესრულება.

3.2. ბაკალავრის პროფესიული საქმიანობის სფერო, ობიექტი და საქმიანობის სახეები.

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისა და შესაბამისი აკადემიური ხარისხის მიღების შემდგომ ბაკალავრის პროფესიული საქმიანობა ხორციელდება სახელმწიფო, საზოგადოებრივ, კერძო სექტორში, სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებში და მიმართულია საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი მოწესრიგებისაკენ, სამართლებრივი კულტურის დამკვიდრებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბება-განმტკიცებისაკენ.

ბაკალავრის პროფესიული საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სამართალშემოქმედებითი საქმიანობა; ორგანიზების, მმართველობით გადაწყვეტილებათა მომზადების სამართლებრივი ასპექტები; იურიდიული შინაარსის დოკუმენტების (ნორმატიული აქტის პროექტის, ხელშეკრულების, საჩივრის, სარჩელის და ა.შ.) შედგენა; ადამიანის უფლებების დაცვა და განმტკიცება.

საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება შესაძლებლობა, იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც მოითხოვება სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ჩაბარება.

საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეეძლება სწავლის გაგრძელება სამართლის სამაგისტრო პროგრამებზე.

3.3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისების და ინგლისური ენის შესაბამის დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენის შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი - **სამართლის ბაკალავრი (The Academic Degree of Bachelor Law)** და ეძლევა საბაკალავრო პროგრამის გავლის დამადასტურებელი სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დიპლომი. დიპლომთან ერთად გაიცემა ევროპის კომისიის, ევროსაბჭოსა და UNESCO/CEPES-ის მიერ შემუშავებული მოდელის შესაბამისი ორენოვანი „დიპლომის დანართი“.

3.4. პროგრამის სტრუქტურა

პროგრამა შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.

პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს განახორციელოს ინდივიდუალური სასწავლო პროფილის ფორმირება როგორც არჩევითი სასწავლო კურსების ისე სხვადასხვა სპეციალიზაციის საგნების კონცენტრაციით.


სტუდენტს შესაძლებლობა აქვს ასევე შეისწავლოს სპეციალობის მოდულით გათვალისწინებული სხვადასხვა სპეციალიზაციის სასწავლო კურსების კონცენტრაცია.

კერძო/ბიზნეს სამართალი: სამრეწველო საკუთრების სამართალი; საერთაშორისო კერძო სამართალი; საკორპორაციო სამართალი; შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის სამართალი; საავტორო სამართალი; მორალური ზიანის ანაზღაურება; რომის კერძო სამართალი; გაკოტრებისა და რეაბილიტაციის სამართალი.

სისხლის სამართალი: სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულება; კრიმინოლოგია; სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული; სასჯელადსრულებითი სამართალი; საპროკურორო სამართალი; მოძღვრება სასჯელზე; სისხლის სამართლის საპროცესო აქტები; ნარკოტიკული დანაშაული.

საჯარო სამართალი: საგადასახადო სამართალი; საფინანსო სამართალი; ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი; საკონსტიტუციო მართლმსაჯულება; საარჩევნო სამართალი; საზღვარგარეთის ქვეყნების საკონსტიტუციო სამართალი; სამოხელეო სამართალი; საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი.

პროგრამის სტრუქტურა



4. ჟურნალისტიკის საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი შეესაბამება გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მისიას, ორიენტირებულია დასაქმების მედიაბაზარზე, ინოვაციურია, რაც გამოიხატება პრაქტიკული ჟურნალისტიკის შემოქმედებით სახელოსნოებში სწავლასა და დაოსტატებაში. საბაკალავრო პროგრამის მიზანი მიღწევადია და ნათლად არის ჩამოყალიბებული შემდეგ დებულებებში, კერძოდ:

ბაკალავრს განუვითაროს და ჩამოუყალიბოს დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე დაფუძნებული ღირებულებები;

შეუქმნას პირობები მისი პიროვნული რესურსების რეალიზებისათვის და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებისათვის;

უმაღლესი განათლების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სწავლის ხარისხის შეთავაზებით აღზარდოს კვალიფიციური ჟურნალისტი;

გააცნობიერებინოს ჟურნალისტიკა, როგორც საკომუნიკაციო და საინფორმაციო სისტემა და მისი როლი საზოგადოების პოლიტიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში;

მედიის სფეროში კვლევითი მუშაობისათვის მოამზადოს კადრები;

მისცეს უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე მიღებული ჟურნალისტიკის სპეციალობის შეცვლის შესაძლებლობა;

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო დისციპლინების თეორიული ასპექტების და კვლევითი ელემენტების გამოყენებით მოამზადოს პირი მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის;

ბაკალავრს გააცნოს ზოგად განათლებაზე დაფუძნებული ჟურნალისტიკისათვის დამახასიათებელი თანამედროვე ცოდნის ძირითადი ასპექტები, არსებული სიახლეები, განვითარების ტენდენციები, დარგის თეორიები, ისტორია და საერთაშორისო გამოცდილება;

ჩამოუყალიბოს პროფესიული მიდგომა ჟურნალისტურ საქმიანობაში და პრობლემების გადაწყვეტის უნარი;

მოამზადოს დამოუკიდებელი ჟურნალისტური საქმიანობისათვის სამაუწყებლო და ბეჭდური პროდუქციის შესაქმნელად;

კურსდამთავრებული მოამზადოს ჟურნალისტიკაში ბაკალავრის კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტისათვის მედიის კანონმდებლობით გათვალისწინებული საქმიანობისათვის;

კურსდამთავრებულმა უნდა შეძლოს მედია და სხვა სახის ტექსტის, ვერბალური და ვიზუალური ინფორმაციის ანალიზი და სათანადო დასკვნების გამოიტანა, პრაქტიკული ხასიათის რეკომენდაციების შეიმუშავება;

პროგრამის მიზანია ჩამოუყალიბოს კურსდამთავრებულს მშობლიურ და უცხოურ ენებზე ზეპირი და წერილობით კომუნიკაციის უნარი;

პროგრამის ფარგლებში ამოქმედდება შემოქმედებითი თემატური სახელოსნოები, სადაც ოსტატები - გამოცდილი და ცნობილი ჟურნალისტები, სტუდენტთა მცირერიცხოვან ჯგუფებში ფოკუსირებას მოახდენენ თემატურ ჟურნალისტიკაზე, კონკრეტული პრობლემატიკის გაშუქებაზე მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით, რაც ხელს შეუწყობს იმას, რომ კურსდამთავრებული იყოს კონკურენტუნარიანი რეპორტიორი შრომის შიდა მედიაბაზარზე.

4.1 სწავლის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამა ამზადებს კონკურენტუნარიან და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამის პროფესიონალებს, რომლებიც შეძლებენ თავიანთ სფეროში წარმოქმნილი ცვლილებებისა და პრობლემების ადვილად და უპრობლემოდ გადაჭრას და დასახული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას. შესაბამისად ბაკალავრი ფლობს შემდეგ კომპეტენციებს:

4.1.1. ზოგადი კომპეტენციები

დასკვნის უნარი

შეუძლია მედიის სფეროში მიმოხილვითი ხასიათის კვლევითი სამუშაოს ჩატარება; შესწევს უნარი გაანალიზოს მედია და სხვა სახის ტექსტი, ვერბალური და ვიზუალური ინფორმაცია და გამოიტანოს სათანადო დასკვნები; შეიმუშაოს პრაქტიკული ხასიათის რეკომენდაციები.

კომუნიკაციის უნარი

შეუძლია კომუნიკაციის უნარის გამოყენება ზეპირი, წერილობით და პერსონალური კომპიუტერული სისტემების ფორმით; შეუძლია კომუნიკაცია პროფესიულ და სხვა სახის მცირე ჯგუფებში; აქვს კომუნიკაციის უნარი მშობლიურ და ინგლისურ ენებზე, მათ შორის პროფესიულ დონეზე; თავისუფლად ფლობს პერსონალური კომუნიკაციის უნარს რესპოდენტთან ურთიერთობისას.

სწავლის უნარი

ფლობს ისეთ უნარ-ჩვევებს, რომელიც აუცილებელია სწავლის მაგისტრატურაში გასაგრძელებლად; ბაკალავრს აქვს უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე მიღებული ჟურნალისტიკის სპეციალობის შეცვლის შესაძლებლობა.

ღირებულებები

ბაკალავრს ჩამოყალიბებული აქვს დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე დაფუძნებული ღირებულებები.

4.1.2. დარგობრივი კომპეტენციები

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებულმა უმაღლესი განათლების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად იცის: ზოგად განათლებაზე დაფუძნებულ ჟურნალისტიკისათვის დამახასიათებელი თანამედროვე ცოდნის ძირითადი ასპექტები; ჟურნალისტიკის სფეროში არსებული სიახლეები, განვითარების ტენდენციები; ჟურნალისტიკის თეორია, ისტორია და საერთაშორისო გამოცდილება; აქვს ჟურნალისტიკის ძირითადი დარგების ფართო ცოდნა; იცის ჟურნალისტიკის სამართლებრივი და ეთიკური ასპექტები; გააჩნია ჟურნალისტიკის თეორიის ძირითადი დებულებების, ფუნქციების, პრინციპების ფართო ცოდნა; აცნობიერებს ჟურნალისტიკის, როგორც საკომუნიკაციო და საინფორმაციო სისტემის როლს საზოგადოების პოლიტიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება

კურსდამთავრებულს შეუძლია: შექმნილი პირობების გამოყენება მისი პიროვნული რესურსების რეალიზებისათვის და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებისათვის; დამოუკიდებელი ჟურნალისტური საქმიანობა სამაუწყებლო და ბეჭდური მედიაპროდუქციის მოსამზადებლად; კონკურენტუნარიანი მედიაპროდუქტის (კონკრეტული თემატიკის მიხედვით, რაც შეისწავლა შემოქმედებით სახელოსნოში) შექმნა შრომის შიდა მედიაბაზრისათვის; თავისი პასუხისმგებლობის სფეროში სამუშაოს დაწყებამდე სამოქმედო გეგმის შედგენა, პრიორიტეტების გამოყოფა, თანმიმდევრობის განსაზღვრა; შეუძლია შერჩევის გზით გამოკვეთოს აქტუალური თემა, განავითაროს იდეა თემასთან მიმართებაში; განსაზღვროს პრაქტიკული სამუშაოს მიზანი და ამოცანები; ჟურნალისტური გადამოწმების ხერხებით მოიძიოს და დაამუშაოს ყველა წყარო; სწორად შეარჩიოს სამიზნე აუდიტორია; მოიძიოს შესაბამისი საკვანძო, საილუსტრაციო და თანმხლები ვიზუალური, ტექსტობრივი, აუდიო თუ ვიდეო მასალა და გამოიყენოს შესაბამისი ასახვის და გამომხატვის ფორმები და ხერხები.

კურსდამთავრებული ფლობს პროფესიულ მიდგომას ჟურნალისტურ საქმიანობაში და აქვს პრობლემების გადაწყვეტის უნარი; მან იცის მედიის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა ნორმა, კანონი და რეგულაცია.

4.2 ბაკალავრის პროფესიული საქმიანობის სფერო, ობიექტი და საქმიანობის სახეები

ა) სწავლის პროცესში მიღებული თეორიული ცოდნა, შექმნილი პრაქტიკული უნარ-ჩვევები და გარკვეული კვლევითი გამოცდილება იძლევა იმის საფუძველს, რომ ჟურნალისტიკაში სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პიროვნებამ შეძლოს კონკრეტული კრიტერიუმების დაკმაყოფილება მედიასაშუალებებში და სხვა ორგანიზაციებში **ჟურნალისტის/კორესპოდენტის/რეპორტიორის, რიგით რედაქტორის, დაბალი რგოლის მედიამენეჯერის, პრეს-სპიკერის, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტის** პოზიციის დასაკავებლად.

ბ) საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეეძლება სწავლის გაგრძელება სოციალურ მეცნიერებათა ფართო სპექტრის სამაგისტრო პროგრამებზე (ჟურნალისტიკა, მასობრივი კომუნიკაცია, საერთაშორისო ურთიერთობები, საზოგადოებრივი ურთიერთობები, მედიამენეჯმენტი, პოლიტიკის მეცნიერებები და სხვა).


4.3 მისანიჭებელი კვალიფიკაცია

საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისების და ინგლისური ენის შესაბამის დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენის შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება **კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი - სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი ჟურნალისტიკაში (The Academic Degree of Bachelor of Social Sciences in Journalism)** და ეძლევა საბაკალავრო პროგრამის გავლის დამადასტურებელი სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დიპლომი. დიპლომთან ერთად გაიცემა ევროპის კომისიის, ევროსაბჭოსა და UNESCO/CEPES-ის მიერ შემუშავებული მოდელის შესაბამისი ორენოვანი “დიპლომის დანართი“.

4.4 საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა სტრუქტურა ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნაზე და აძლევს შესაძლებლობას სტუდენტს შექმნას ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სავალდებულო და არჩევითი დისციპლინების კომბინაციის ხარჯზე.

პროგრამის სტრუქტურა



5. ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებულ საგანმანათლებლო პოლიტიკას, გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მისიას, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია. საბაკალავრო პროგრამა მოწოდებულია: ბაკალავრს განუვითაროს და ჩამოუყალიბოს დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე დაფუძნებული ღირებულებები; შეუქმნას პირობები მისი პიროვნული რესურსების რეალიზებისათვის და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებისათვის; უმაღლესი განათლების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სწავლის ხარისხის შეთავაზებით აღზარდოს კვალიფიციური ფსიქოლოგი; მოამზადოს კადრები ფსიქოლოგიის სფეროში მუშაობისათვის; საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო დისციპლინების თეორიული ასპექტებისა და კვლევითი ელემენტების გამოყენებით მოამზადოს პირი მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის; ბაკალავრს გააცნოს ზოგად განათლებაზე დაფუძნებული ფსიქოლოგიისათვის დამახასიათებელი თანამედროვე ცოდნის ძირითადი ასპექტები, არსებული სიახლეები, განვითარების ტენდენციები, დარგის ისტორია, თანამედროვე მიმდინარეობები და თეორიები; გააცნოს ფსიქოლოგიური აზრის განვითარების უმთავრესი ტენდენციები, კლასიკური ფსიქოლოგიის ძირითადი კონცეპტუალური სისტემები; ფსიქოლოგიის უმნიშვნელოვანესი მეთოდოლოგიური და თეორიული პრობლემატიკა; ფსიქოლოგიის ძირითადი დარგების აღმოცენებისა და განვითარების ისტორია; აქტუალური ამოცანები, ძირითადი კონცეპტები და ხედვები, კროს-კულტურული და ინტერდისციპლინარული ასპექტები; პიროვნების შესახებ არსებული თეორიული და ემპირიული გამოცდილება; ჩამოუყალიბოს პროფესიული მიდგომა ფსიქოლოგიურ საქმიანობაში და პრობლემების გადაწყვეტის უნარი; მოამზადოს დამოუკიდებელი ფსიქოლოგიური საქმიანობისათვის; კურსდამთავრებული იყოს კონკურენტუნარიანი შრომის ბაზარზე.

5.1 სწავლის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამა ამზადებს კონკურენტუნარიან, კვალიფიციურ სპეციალისტს, რომელიც თანამედროვე მოთხოვნების შესაბამად, ადეკვატურად გააცნობიერებს თავის სფეროში წარმოქმნილ ცვლილებებს, შეძლებს პრობლემის გადაჭრას და დასახული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას. შესაბამისად ბაკალავრი ფლობს შემდეგ კომპეტენციებს:

5.1.1. ზოგადი კომპეტენციები

დასკვნის უნარი

- შეუძლია სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება.
- შეუძლია ანალიტიკური აზროვნება, კვლევის შედეგების კრიტიკული ანალიზი და შეფასება; ანგარიშის შედგენა და მისი ზეპირი და წერილი პრეზენტაცია;
- ფსიქოლოგიურ საქმიანობასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება და მათ გადასაჭრელად შესაბამისი მეთოდების შერჩევა, დასკვნის ფორმულირება და არგუმენტირებული რეკომენდაციების შეთავაზება;
- სოციალურ-ფსიქოლოგიური სფეროსთვის დამახასიათებელი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით სხვადასხვა მასალის, ინფორმაციის, მათ შორის სტატისტიკური მონაცემების, შეგროვება, დაჯგუფება, ანალიზი და შეფასება;
- ფსიქოლოგიის სფეროში მოვლენებისა და ტენდენციების განმარტება და ანალიზი;
- სოციალური, პროფესიული და ეთიკური პრობლემების გადაწყვეტასთან დაკავშირებული მოსაზრების ფორმულირება და დასაბუთება;
- საკუთარი შესაძლებლობების და შესრულებული სამუშაოს ანალიზი და კრიტიკა;
- ფსიქოლოგიური ხასიათის პრობლემების ამოცნობა, გამოკვლევა, გადაჭრის ან პრევენციის მიზნით შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.

კომუნიკაციის უნარი

- იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის გადაცემა;
- თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით საქმიანი დოკუმენტების შედგენა, ანგარიშების და პრეზენტაციების მომზადება;
- პროფესიული საქმიანობის დროს ორგანიზაციის თანამშრომელთა ფსიქო-სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული წერილობითი ანგარიშის მომზადება და პრეზენტაცია;
- ორგანიზაციაში არსებული სოციალურ-ფსიქოლოგიურ კლიმატთან დაკავშირებულ საკითხებზე დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება, სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ინფორმაციის ქართულ და უცხოურ ენებზე მიწოდება, წინადადების, მოსაზრებების ჩამოყალიბება, განმარტება და პრეზენტაცია;
- ქართული და უცხოენოვანი ინფორმაციის და მასალების სხვადასხვა წყაროებით, მათ შორის ინტერნეტ-რესურსებით, მოძიება და სარგებლობა;
- თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება საინფორმაციო ბაზებთან, პროგრამებთან, ელექტრონულ დოკუმენტებთან, ცხრილებთან და მონაცემთა ბაზებთან მუშაობა და პრეზენტაციების მომზადება;

სწავლის უნარი

- ფლობს ისეთ უნარ-ჩვევებს, რომელიც აუცილებელია სწავლის გასაგრძელებლად;
- ბაკალავრს აქვს უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე მიღებული ფსიქოლოგიის სპეციალობის შეცვლის შესაძლებლობა;
- მოწინავე საერთაშორისო გამოცდილების გამოყენების, ინოვაციების გათვალისწინების აუცილებლობის გაცნობიერებისა და ბაკალავრიატში მიღებული კომპეტენციების სრულყოფის მოტივაციის საფუძველზე, შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა;
- შეუძლია ბაკალავრიატში მიღებული ცოდნის ადეკვატური შეფასება და, ცოდნისა და უნარების სრულყოფის მიზნით, სხვადასხვა რესურსის, მათ შორის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, სხვადასხვა საინფორმაციო წყაროების, დარგობრივი ლიტერატურის გამოყენება.

ღირებულებები

ბაკალავრს აქვს:

- დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე დაფუძნებული ღირებულებები.
- კულტურათა მრავალსახეობის, მათ შორის განსხვავებულობის აღქმა, საყოველთაოდ აღიარებული ეთიკური ფასეულობების გაზიარების უნარი.
- პროფესიული, ეთიკური, სოციალური ნორმების ცოდნა და მათი დაცვის პასუხისმგებლობა;
- პროფესიული პასუხისმგებლობა და ფსიქოლოგიური სფეროს ეთიკური ასპექტების გაცნობიერების უნარი;
- პროფესიულ სფეროსთან დაკავშირებული ღირებულებებისათვის ფორმირების პროცესში მონაწილეობის მოტივაცია და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.

5.1.2. დარგობრივი კომპეტენციები

ცოდნა და გაცნობიერება

- ფლობს სფეროს ფართო ცოდნას, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას; შეუძლია სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერება;
- აღწერს და ჩამოთვლის სენსორული პროცესების მოდალობების, საბაზისო მოთხოვნილებებისა და მოტივების, პიროვნების სტრუქტურის ნიშან-თვისებებს;
- განსაზღვრავს და შეაფასებს ფსიქოლოგიურ სისტემებსა და შეხედულებებს;
- გააცნობიერებს და განმარტავს პიროვნების ფსიქოლოგიის ძირითადი თეორიებს, ცნებებსა და დებულებებს, გენეტიკურ და გარემო ფაქტორებს;
- იცის: პიროვნების ემპირიული კვლევის ძირითადი მეთოდები - დაკვირვება, კორელაციური კვლევა და ექსპერიმენტი; ფსიქოდიანოსტიკური ტესტები;
- განიხილავს და განმარტავს უმაღლესი ნერვული სისტემის მოქმედების ინდივიდუალურ თავისებურებებს, ქცევის, ემოციების, დასწავლის ფიზიოლოგიურ მექანიზმებს;

- აცნობიერებს და განსაზღვრავს პიროვნების განვითარების ძირითად მახასიათებლებს, ფსიქიკური ფუნქციების, განვითარებაზე ზემოქმედი ფაქტორების, განვითარების დარღვევების ფსიქოლოგიურ კანონზომიერებებს;
- იცის და დეტალურად აყალიბებს საზოგადოებრივი მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივი შესწავლისათვის მონაცემთა შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის სტატისტიკურ მეთოდებს; იცნობს SPSS-ში მუშაობის ძირითად პრინციპებს, შეუძლია სტატისტიკური მონაცემების აღწერა და ინტერპრეტაცია;
- შეუძლია ადამიანისა და გარე სამყაროს ურთიერთქმედების პროცესში ქცევის საფუძვლების, სტრუქტურის, ფორმების, სახეების და კანონზომიერებების, ქცევის ფსიქოლოგიური შინაარსის კლასიფიცირება და ახსნა;
- გამოარჩევს და ადარებს ორგანიზაციულ და მართვის ფსიქოლოგიაში დაგროვილ ფაქტებსა და კანონზომიერებებს; შეუძლია მათი აღწერა და ურთიერთდაკავშირება;
- სხვადასხვა წყაროებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით განიხილავს ამოცანის შესატყვის ინფორმაციას, მოიძიებს და შეარჩევს დასმული ამოცანის შესაფერ მეთოდების;
- იცის საზოგადოებასთან ურთიერთობის არსებული თეორიული მოდელები;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება

- შეუძლია თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ერთმანეთთან დაკავშირება, პრაქტიკაში ილუსტრირება. სფეროსთვის დამახასიათებელი, ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემის გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
- შეარჩევს და იყენებს ფსიქოლოგიის სფეროსათვის დამახასიათებელ სტანდარტულ სტატისტიკურ მეთოდებს, აკავშირებს მათ პრობლემასთან;
- ფლობს გარკვეულ ფსიქოლოგიურ ფენომენტთან დაკავშირებული ექსპერიმენტული მუშაობის დამოუკიდებლად დაგეგმვის, ტექნიკურად მომზადებისა და ჩატარების უნარს; როგორც კლასიკური, ასევე თანამედროვე თეორიების პროფესიულ გარემოში გადატანისა და ეთიკური ნორმების დაცვით პრაქტიკაში გამოყენების უნარს;
- შეუძლია ადამიანთა ინდივიდუალურ-ტიპოლოგიური თავისებურებების დამდგენი ტესტების კლასიფიცირება და კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის ექსპერიმენტირებაში მონაწილეობა დამწყების დონეზე;
- შეუძლია:
 - ა) პიროვნების ადაპტაციური და დეზადაპტაციური მექანიზმების, შინაგანი და გარე მო ფაქტორების, იმპულსური და ნებელობითი ქცევის კანონზომიერებების კონკრეტიზირება და ახსნა; განწყობის ფსიქოლოგიის თეორიულ-მეთოდოლოგიური ცოდნის რეპროდუქცია და კონკრეტულ სიტუაციაში მისი ადეკვატური გამოყენება;
 - ბ) სხვადასხვა თეორიულ მიდგომებსა და ემპირიულ კვლევებზე დაყრდნობით ქცევის ანალიზი, სათანადო რეკომენდაციების მომზადება და მმართველობით სფეროში მისი წარმატებით გამოყენება;
 - გ) თეორიული ცოდნის საფუძველზე ადამიანთა შორის აღმოცენებული სოციალურ-ფსიქოლოგიური პრობლემების პრაქტიკულად გადაჭრა;
 - დ) მიღებული ცოდნის გამოყენება ინტერპერსონალური ურთიერთობების, ჯგუფების სტრუქტურირების, ჯგუფში მიმდინარე პროცესების მართვისა და დარეგულირების, ადამიანთა სოციალური ქცევის პროგნოზირების საჭიროების შემთხვევაში;
 - ე) სტრესული სიტუაციების გააანალიზება და მისი დაძლევის გზების მოძიება; სტრესულ სიტუაციაში როგორც საკუთარი თავის, ისე სხვათა დახმარება;

5.2 ბაკალავრის პროფესიული საქმიანობის სფერო, ობიექტი და საქმიანობის სახეები

”ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს - სოციალურ მეცნიერებთა ბაკალავრს ფსიქოლოგიაში - სწავლის პროცესში შეძენილი ცოდნა, პრაქტიკაში მისი გამოყენების უნარ-ჩვევები და კვლევითი გამოცდილების გარკვეული დონე საშუალებას აძლევს იმუშაოს ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებებში, სასაჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემაში, საბანკო სექტორში (პერსონალის შერჩევისა და მასთან მუშაობის,

კლიენტთა მომსახურების საკითხებთან დაკავშირებით), ან ნებისმიერ სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციაში, რომელსაც სჭირდება პროფესიონალი ფსიქოლოგი და არ ითხოვს მაგისტრის აკადემიურ ხარისხს.


5.3 მისანიჭებელი კვალიფიკაცია

საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისების და ინგლისური ენის შესაბამის დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენის შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი - სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი ფსიქოლოგიაში (**The Academic Degree of Bachelor in Social Sciences in Psychology**) და ეძლევა საბაკალავრო პროგრამის გავლის დამადასტურებელი სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დიპლომი. დიპლომთან ერთად გაიცემა ევროპის კომისიის, ევროსაბჭოსა და UNESCO/CEPES-ის მიერ შემუშავებული მოდელის შესაბამისი ორენოვანი “დიპლომის დანართი“.

5.4 საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა სტრუქტურა ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნაზე და სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს, სავალდებულო და არჩევითი დისციპლინების კომბინაციის ხარჯზე, შეიმუშაოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

პროგრამის სტრუქტურა



საგანმანათლებლო პროგრამები

მაგისტრატურაში

ზოგადი ინფორმაცია

სამაგისტრო პროგრამის მოთხოვნები

მაგისტრატურის ძირითადი მიზნები:

- ა) მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება;
- ბ) სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მომზადება;
- გ) კვალიფიკაციის ამაღლება.
- დ) უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე მიღებული სპეციალობის შეცვლის მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

მაგისტრატურამ უნდა უზრუნველყოს ისეთი სპეციალისტის მომზადება, რომელიც:

- ა) ფლობს საფუძვლიან თეორიულ ცოდნას, სპეციალობის შესაბამის კომპეტენციებს და მზად იქნება დამოუკიდებელი, მაღალკვალიფიციური პროფესიული საქმიანობისათვის;
- ბ) იქნება კონკურენტუნარიანი შრომის შიდა და გარე ბაზარზე.

სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს საერთო სამაგისტრო გამოცდების საფუძველზე ან საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. სამაგისტრო პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობაა:

- შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში;
- უცხო ენის შესაბამის დონეზე ცოდნის დადასტურება დადგენილი სერტიფიკატით ან გამოცდით.

პროგრამაზე სწავლის უფლება შეუძლია მოიპოვოს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სხვა სამაგისტრო პროგრამის ან სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტმა შიდა/გარე მობილობის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის და სასწავლო პროცესის რეგულირების წესის მოთხოვნათა შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა კრედიტებით

საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს **ECTS** -ის 120 კრედიტის დაგროვებას. 1 კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს, 1 ასტრონომიული საათი = 60 წთ. კრედიტი ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას. კრედიტი დროის ერთეულში (სთ.) ასახავს სამუშაოს იმ მოცულობას, რომელიც საჭიროა სტუდენტის მიერ პროგრამის ერთი კომპონენტის ასათვისებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად.

ერთი სასწავლო წელი შედგება ორი, შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებისგან, მოიცავს 43 კვირას, მათ შორის 38 სასწავლო და სასესიო კვირას, 4 კვირას დამატებითი გამოცდებისათვის (2 კვირა თითოეულ სემესტრში), 1 კვირას საშობაო არდადეგებისათვის.

სემესტრის განმავლობაში მაგისტრანტმა სასურველია დაძლიოს საშუალოდ 30 კრედიტი (30 კრედიტი = 750 სთ.), ხოლო წელიწადში - 60 კრედიტი, თუმცა, პროგრამის სპეციფიკიდან და სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

სამაგისტრო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ, აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით, სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არაუმეტეს 4 სემესტრი) განმავლობაში.

სამაგისტრო პროგრამების აღწერა

1. საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანი შეესაბამება გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მისიას, იგი ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და ჩამოყალიბებულია შემდეგ პუნქტებად:

- კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სპეციალისტების მომზადება, რომლებიც ბიზნესის ცვალებად გარემოში შეძლებენ შემნილი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების რეალიზებას და მოთხოვნადი იქნებიან შრომის როგორც შიდა ასევე საერთაშორისო ბაზარზე;
- მაგისტრისათვის საჭირო ანალიტიკური აზროვნების და შემოქმედებითი მიდგომის, თეორიული კვლევის დამოუკიდებლად წარმართვის უნარ-ჩვევათა გამომუშავება-განვითარება, საქართველოში არსებულ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და კომპანიებში, სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებში; საქმიანობის სრულფასოვნად წარმართვისა და დამოუკიდებელი, პროფესონალური გადაწყვეტილებების მისაღებად;
- მაგისტრანტების მობილობის ხელშეწყობა არა მარტო საქართველოში არსებულ უნივერსიტეტებში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც;
- მაგისტრატურის შემდგომი სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობისათვის მომზადება.

1.1. სწავლის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამამ უნდა უზრუნველყოს საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტისათვის აუცილებელი **ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების განვითარება**. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრს უნდა გააჩნდეს შემდეგი კომპეტენციები:

1.1.1. ზოგადი კომპეტენციები

დასკვნის უნარი

- რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს, რომელშიც განისაზღვრება ეთიკური და სოციალური პასუხისმგებლობები;
- კრიტიკული ანალიზის საფუძველზე შეუძლია დასაბუთებული დასკვნების გაკეთებისა და არსებული პრობლემების გადასაწყვეტად ღონისძიებათა ლოგიკური დასაბუთება;
- შეუძლია საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სფეროში მიღებული ცოდნის საფუძველზე საკუთარი დასკვნების საჯაროდ წარმოდგენა და აზრის მკაფიოდ ჩამოყალიბება;
- თანამედროვე პირობებში საერთაშორისო ბიზნეს-რისკების გამოვლენის, სიღრმისეული შეფასების, განზოგადოებისა და არგუმენტირებულად დასაბუთების უნარი;
- საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის თეორიებისა და მოდელების თანამედროვე პრაქტიკული სიტუაციებისადმი მისადაგებისა და სიღრმისეული დასკვნების გაკეთების უნარი.

კომუნიკაციის უნარი

- შეუძლია თავისი დასკვნებისა და არგუმენტაციის შესახებ კომუნიკაცია აკადემიურ, პროფესიულ საზოგადოებაში, ასევე არასპეციალისტებთან, მათ შორის უცხო ენაზე;
- შემოქმედებითად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, დარგის თავისებურებების გათვალისწინებით;
- ფლობს საქმიანი შეხვედრებისა და პრეზენტაციების დამოუკიდებლად ორგანიზების უნარს;
- აქვს დასაბუთებული კრიტიკისა და თვითკრიტიკის უნარი;
- უცხო ენების თავისუფლად გამოყენება სოციალურ, აკადემიურ და პროფესიულ თემებზე სასაუბროდ;
- საერთაშორისო კომპანიებში მოლაპარაკებების დამოუკიდებლად წარმართვის უნარები;

- ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში დამოუკიდებლად მოქმედება.

სწავლის უნარი

- შეუძლია, დამოუკიდებლად დაგეგმოს და განახორციელოს სწავლა.
- ფლობს კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, /ორიგინალური გზების ძიების, მათ შორის მაგისტრისათვის სავალდებულო კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარ-ჩვევებს;

ღირებულებები

შეუძლია მულტიკულტურულ ფასეულობათა პატივისცემა და სხვადსხვა ქვეყნების მორალური და ეთიკური ნორმების გაცნობიერება და საერთაშორისო კომპანიებში მათი დაცვა.

1.1.2. დარგობრივი კომპეტენციები

ცოდნა და გაცნობიერება

სიღრმისეულად უნდა იცოდეს:

- კვლევის თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები;
- საერთაშორისო კომპანიებში მოქმედი სამართლებრივი ასპექტები;
- საერთაშორისო ბიზნესის მართვის წარმართვის წესები;
- ეკონომიკური დიპლომატიის წესები;
- მულტიკულტურულ გარემოსთან ურთიერთობის ასპექტები;
- გლობალური ეკონომიკურ პრობლემების მართვის თავისებურებები;
- ეკონომიკური უსაფრთხოების ელემენტები;
- უცხოური კომპანიების მართვის თავისებურებანი;
- საერთაშორისო პროექტების დამოუკიდებლად მართვა;
- საერთაშორისო კომპანიებში ადამიანური რესურსების ეფექტური მართვა;
- კონფლიქტების მართვისა და რეგულირების ტექნოლოგია;
- კომპანიათა სტრატეგიის სწრაფი ადაპტირების ტექნოლოგია ცვალებად გარემოში.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

მაგისტრი უნდა ფლობდეს:

- სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის წარმართვის უნარ-ჩვევებს;
- სამუშაო ჯგუფში, როგორც წევრის, ასევე, ლიდერის როლში ეფექტური მუშაობის უნარებს;
- ინტერდისციპლინარულ ჯგუფში მუშაობის, სხვა საგნობრივი სფეროს ექსპერტებთან თანამშრომლობისა და საერთაშორისო კონტექსტში დამოუკიდებლად მუშაობის უნარებს;
- საერთაშორისო ბიზნესის სფეროში არსებული სიტუაციის სისტემური ანალიზის, მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით დასახულ ღონისძიებათა მოსალოდნელი შედეგების შეფასებისა და განვითარების ალტერნატიული სცენარების შედარება-შერჩევის უნარებს;
- საერთაშორისო ბიზნესის სფეროში მიმდინარე პროცესების ანალიტიკური შეფასების, პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ცვლილებათა გააზრების, მათი შესაბამისი ადექვატური ქცევისა და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარ-ჩვევებს;
- კომპანიისათვის ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების უნარს;
- კომპანიათა კონკურენტუნარიანობის განსაზღვრისა და კონკურენტული ფაქტორების დასაბუთების და მიზანმიმართულად გამოყენების უნარს.

მაგისტრს უნდა შეეძლოს:

- ექსპერტის დონეზე, დარგისათვის სპეციფიკურ მეთოდების დამოუკიდებლად გამოყენება;
- კომპანიის განვითარების სტრატეგიისა და გრძელვადიანი გეგმების დამოუკიდებლად შემუშავება;
- მმართველობით გადაწყვეტილებათა დამოუკიდებლად მიღება, კომპანიის ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფის საქმიანობის კოორდინაცია;
- მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე კომპანიის ფინანსური ნაკადების რეგულირება და აქტივების გაზრდა;

- ეფექტიანი კონტრაქტების დამოუკიდებლად განხორციელება;
- საერთაშორისო მენეჯმენტის ტექნიკის პრაქტიკაში ეფექტიანად გამოყენება;
- კომპანიის ფინანსური სახსრების ლიკვიდობის უზრუნველყოფა;
- საერთაშორისო წარმოებისათვის შემოქმედებითი ინოვაციური ატმოსფეროს შექმნა;
- ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის ეფექტიანი სტრატეგიების შემუშავება;
- საერთაშორისო ბაზრებზე კომპანიათა ადგილის განსაზღვრა და ეფექტიანობის დასაბუთება;
- ცალკეული შემთხვევებისთვის რისკების დამოუკიდებლად რანჟირება და მათი დონის დადგენა;
- საერთაშორისო ბაზრებზე სწორი ფასწარმოქმნის მოდელების შემუშავება;
- ბაზრის სიღრმისეული კვლევის საფუძველზე, კომპანიათა ქცევითი მოდელების შემუშავება და მათი ეკონომიკური დასაბუთება.

1.2. მაგისტრის პროფესიული საქმიანობის სფერო და ობიექტი

მაგისტრის პროფესიული საქმიანობის სფეროა ბიზნესის სახელმწიფო და კერძო სტრუქტურები.

მაგისტრის პროფესიული საქმიანობის ფუნქციებია: საზოგადოებრივი და კერძო სექტორის, საქართველოში არსებული საერთაშორისო კომპანიების, ორგანიზაციების, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის, საქმიანობის დაგეგმვა, ორგანიზება, მოტივირება, კოორდინირება, რეგულირება და კონტროლი.

მაგისტრის პროფესიული საქმიანობის სახეებია: საორგანიზაციო-მმართველობითი, ადმინისტრაციულ-სამეურნეო, საინფორმაციო-ანალიტიკური, საკონსულტაციო-ექსპერტული, კვლევითი, პედაგოგიური და სხვა საქმიანობის განხორციელება და დამოუკიდებლად პროფესიონალური გადაწყვეტილების მიღება;

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების ადგილი. სწავლების პროცესში მიღებული სავალდებულო სიღრმისეული თეორიული ცოდნისა და კვლევითი თუ პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევათა გათვალისწინებით, კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს:

სახელმწიფოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურებში, სახელმწიფო ორგანიზაციებში და დაწესებულებებში; არასამთავრობო სტრუქტურებში; საერთაშორისო ორგანიზაციებში; კერძო ფირმების ზედა და საშუალო დონის მმართველობით რგოლში; საქართველოში არსებულ საერთაშორისო კორპორაციებში, როგორც სამრეწველო, ისე მომსახურების სფეროების ერთობლივ საწარმოებში; საბანკო და საფინანსო წრეებში, სადაზღვევო კომპანიებში და სხვ.

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში, ან დაეუფლოს კვალიფიკაციის ამაღლების სხვა პროგრამებს.


1.3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი „ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტში – **Master of Business Administration in International Business Management**“ და ეძლევა აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დიპლომი. დიპლომთან ერთად გაიცემა ევროპის კომისიის, ევროსაბჭოსა და UNESCO/CEPES -ის მიერ შემუშავებული მოდელის შესაბამისი ორენოვანი “დიპლომის დანართი“.

1.4. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნაზე, გააჩნია მოქნილობის მაღალი დონე და აძლევს შესაძლებლობას სტუდენტს სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების, კომბინაციის, სპეციალობის მოდულის არჩევის ხარჯზე შექმნას ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

პროგრამის სტრუქტურა



2. საერთაშორისო ბიზნესის ადმინისტრირება

(გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის და დიდი ბრიტანეთის ბირმინგემის კოლეჯის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა)

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანი შეესაბამება ბირმინგემის კოლეჯისა და გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მისიას, იგი ორიენტირებულია დასაქმების საერთაშორისო ბაზარზე და ჩამოყალიბებულია შემდეგ პუნქტებად:

- ბიზნესის ადმინისტრირების კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებიც ბიზნესის ცვალებად გარემოში შეძლებენ შეძენილი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების რეალიზებას და მოთხოვნადი იქნებიან შრომის საერთაშორისო ბაზარზე;
- მაგისტრისათვის საჭირო ანალიტიკური აზროვნების და შემოქმედებითი მიდგომის, თეორიული კვლევის პრაქტიკაში დამოუკიდებლად წარმართვის უნარ-ჩვევათა გამომუშავება-განვითარება, საქართველოში და უცხოეთში არსებულ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და კომპანიებში, სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებში; საქმიანობის სრულფასოვნად წარმართვისა და დამოუკიდებელი, პროფესონალური გადაწყვეტილებების მისაღებად.

2.1. სწავლის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამამ უნდა უზრუნველყოს საერთაშორისო დონეზე ბიზნესის ადმინისტრირებისათვის აუცილებელი **ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების განვითარება**.

კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრს უნდა გააჩნდეს შემდეგი კომპეტენციები:

2.1.1. ზოგადი კომპეტენციები

დასკვნის უნარი

- რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს;
- შეუძლია საერთაშორისო ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში მიღებული ცოდნის საფუძველზე საკუთარი დასკვნების საჯაროდ წარმოდგენა; კრეატიული და ინოვაციური მიდგომების მკაფიოდ ჩამოყალიბება;
- თანამედროვე პირობებში ბიზნეს-რისკების გამოვლენის, სიღრმისეული შეფასების, განზოგადოებისა და არგუმენტირებულად დასაბუთების უნარი;
- საერთაშორისო ბიზნესის თეორიებისა და მოდელების თანამედროვე პრაქტიკული სიტუაციებისადმი მისადაგების და ეფექტურად გამოყენების უნარი.

კომუნიკაციის უნარი

- შეუძლია თავისი დასკვნებისა და არგუმენტაციის კომუნიკაცია, მოლაპარაკებების წარმართვა აკადემიურ, პროფესიულ საზოგადოებაში, ასევე არასპეციალისტებთან უცხო ენაზე თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიების გამოყენებით;

სწავლის უნარი

- შეუძლია, დამოუკიდებლად დაგეგმოს და განახორციელოს სწავლა.
- ფლობს მაგისტრისათვის სავალდებულო კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარ-ჩვევებს;

ღირებულებები

- პატივს სცემს საერთაშორისო ბიზნესის ეთიკის ნორმებს და შეუძლია საერთაშორისო კომპანიებში მათი დაცვა.

2.1.2. დარგობრივი კომპეტენციები

ცოდნა და გაცნობიერება

სიღრმისეულად უნდა იცოდეს:

- კვლევის თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები;
- საერთაშორისო ბიზნესზე მოქმედი გარემოებები;
- საერთაშორისო მასშტაბით ბიზნესის წარმართვის წესები;

- საერთაშორისო ბიზნესთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის გზები;
- გლობალური ეკონომიკურ პრობლემების მართვის თავისებურებები;
- საერთაშორისო წარმოებაში სტრატეგიების სწრაფი ადაპტირების ტექნოლოგია ცვალებად გარემოში;
- ოფშორული ბიზნესის წარმოების თავისებურებები და მახასიათებლები;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

მაგისტრი უნდა ფლობდეს:

- სამეცნიერო საქმიანობის წარმართვის უნარ-ჩვევებს;
- საერთაშორისო დონეზე ბიზნესის სფეროში არსებული სიტუაციის სისტემური ანალიზის, მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით დასახულ ღონისძიებათა მოსალოდნელი შედეგების შეფასებისა და განვითარების ალტერნატიული სცენარების შედარება-შერჩევის უნარებს;
- კომპანიისათვის ეფექტიანი სამეწარმეო პოლიტიკის შემუშავების უნარს;
- კომპანიათა კონკურენტუნარიანობის განსაზღვრისა და კონკურენტული ფაქტორების დასაბუთების და მიზანმიმართულად გამოყენების უნარს;
- ინოვაციური საქმიანობის განხორციელების ტექნოლოგიას;
- ალიანსური სტრატეგიების განხორციელების ტექნიკას;

მაგისტრს უნდა შეეძლოს:

- ექსპერტის დონეზე, დარგისათვის კვლევის სპეციფიკურ მეთოდების დამოუკიდებლად გამოყენება;
- კომპანიის განვითარების სტრატეგიისა და გრძელვადიანი გეგმების დამოუკიდებლად შემუშავება;
- მმართველობით გადაწყვეტილებათა დამოუკიდებლად მიღება, კომპანიის ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფის საქმიანობის კოორდინაცია;
- ეფექტიანი კონტრაქტების დამოუკიდებლად განხორციელება;
- საერთაშორისო წარმოებისათვის შემოქმედებითი ინოვაციური ატმოსფეროს შექმნა;
- საერთაშორისო ბაზრებზე კომპანიათა ადგილის განსაზღვრა და ეფექტიანობის დასაბუთება;
- საერთაშორისო ბაზრებზე სწორი ფასწარმოქმნის მოდელების შემუშავება;
- ბაზრის სიღრმისეული კვლევის საფუძველზე, კომპანიათა ქცევითი მოდელების შემუშავება და მათი ეფექტიანობის დასაბუთება;
- ელექტრონული ბიზნესის თავისუფლად წარმართვა;
- ელექტრონული მარკეტინგის ელემენტების ფართოდ გამოყენება ბიზნეს ურთიერთობებში;
- ინოვაციური ოპერაციული სისტემების გამოყენება სამეწარმეო საქმიანობაში;

2.2. მაგისტრის პროფესიული საქმიანობის სფერო და ობიექტი

მაგისტრის პროფესიული საქმიანობის სფეროა როგორც ქვეყნის, ასევე მის ფარგლებს გარეთ არსებული ბიზნესის სახელმწიფო და კერძო სტრუქტურები; მულტიროვნული და მრავალეროვნული კომპანიები, ერთობლივი საწარმოები; საერთაშორისო ფონდები და ორგანიზაციები;

მაგისტრის პროფესიული საქმიანობის ფუნქციებია: საზოგადოებრივი და კერძო სექტორის, საქართველოში და საზღვარგარეთ არსებული საერთაშორისო კომპანიების, ორგანიზაციების, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის, საქმიანობის დაგეგმვა, ორგანიზება, მართვა, მოტივირება, კოორდინირება, რეგულირება და კონტროლი, სამეწარმეო. ლოჯისტიკური, მარკეტინგული ფუნქციების განხორციელება.

მაგისტრის პროფესიული საქმიანობის სახეებია: საორგანიზაციო-მმართველობითი, ადმინისტრაციულ-სამეურნეო, საინფორმაციო-ანალიტიკური, საკონსულტაციო-ექსპერტული, კვლევითი, პედაგოგიური და სხვა საქმიანობის განხორციელება და დამოუკიდებლად პროფესიონალური გადაწყვეტილების მიღება;

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების ადგილი. სწავლების პროცესში მიღებული სავალდებულო სიღრმისეული თეორიული ცოდნისა და კვლევითი

თუ პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევათა გათვალისწინებით, კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს:

- სახელმწიფოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურებში, სახელმწიფო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში;
- არასამთავრობო სტრუქტურებში; საერთაშორისო ორგანიზაციებში;
- კერძო ფირმების ზედა დონის მმართველობით რგოლში;
- საქართველოში არსებულ საერთაშორისო კორპორაციებში, როგორც სამრეწველო, ისე მომსახურების სფეროების (განათლება, ჯანდაცვა, ტურიზმი, დაზღვევა,) ერთობლივ საწარმოებში;
- საბანკო და საფინანსო წრეებში, სადაზღვევო კომპანიებში და სხვ. სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში, ან დაეუფლოს კვალიფიკაციის ამაღლების სხვა პროგრამებს.


2.3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება საერთაშორისო ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი და ეძლევა აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის ერთობლივი დიპლომი (ბირმინგემის კოლეჯის და გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის) დიპლომი. დიპლომთან ერთად გაიცემა ევროპის კომისიის, ევროსაბჭოსა და **UNESCO/CEPES** -ის მიერ შემუშავებული მოდელის შესაბამისი “დიპლომის დანართი“.

2.4. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა ორიენტირებულია საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნაზე, გააჩნია მოქნილობის მაღალი დონე და აძლევს შესაძლებლობას სტუდენტს სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების, კომბინაციის, სპეციალობის მოდულის არჩევის ხარჯზე შექმნას ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

პროგრამის სტრუქტურა



3. საბანკო საქმე

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანი შეესაბამება გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მისიას, იგი ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და ჩამოყალიბებულია შემდეგ პუნქტებად:

- კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ საბანკო-საფინანსო სფეროში მათთვის საჭირო და აუცილებელი კვლევების ჩატარებას, დასაქმდებიან საფინანსო ინსტიტუტებსა და ბანკებში, ეროვნულ კომპანიებში, სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებში, სადაც არის საბანკო საქმის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიღების საჭიროება.
- მაგისტრანტისთვის საჭირო ანალიტიკური აზროვნების და შემოქმედებითი მიდგომის, თეორიული კვლევის დამოუკიდებლად წარმართვის უნარ-ჩვევათა გამომუშავება, რათა მან შეძლოს საფინანსო და საბანკო ინსტიტუტებში საქმიანობის სრულფასოვნად წარმართვა და პროფესიონალური გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება;
- მაგისტრანტების მობილობის ხელშეწყობა არა მარტო საქართველოში არსებულ უნივერსიტეტებში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც;
- მაგისტრატურის შემდგომი სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობისათვის მომზადება

3.1. სწავლის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამამ უნდა უზრუნველყოს საბანკო სფეროსათვის აუცილებელი **ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების განვითარება**. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრს უნდა გააჩნდეს შემდეგი კომპეტენციები:

3.1.1. ზოგადი კომპეტენციები

დასკვნის უნარი

შეუძლია:

- რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებულ დასკვნებს ჩამოყალიბება;
- ინფორმაციულ წყაროებზე და ფაქტობრივ მასალის კვლევის და ანალიზის საფუძველზე ბანკის საქმიანობის შესახებ მიღებული შედეგების განზოგადება და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;
- ფასიანი ქაღალდების ბაზარზე რისკების შესწავლა და ამ საკითხზე დასკვნების მომზადება;
- სადაზღვევო რეზერვებისა და ფონდების განთავსებისათვის საჭირო დასაბუთებული დასკვნის მომზადება;
- ბიზნეს სტრუქტურის მონაცემთა ანალიზის და შეფასების თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენების საფუძველზე შესაბამისი დასკვნების გაკეთება;
- საერთაშორისო ფინანსურ ურთიერთობათა განვითარების, ანგარიშსწორებისა და საგადამხდელო ბალანსის ურთიერთკავშირის გააზრება და დასკვნის გაკეთება;
- შეუძლია პირველად და მეორად ინფორმაციულ წყაროებზე დაყრდნობით მონაცემთა ლოგიკური განზოგადება ;
- საბანკო ტერმინოლოგიის გააზრებული გამოყენება, რეალურ სამეტყველო პროცესში ლოგიკური დასკვნების გამართულად ჩამოყალიბება;
- სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო-საბანკო ორგანიზაციების განმასხვავებელი ნიშნების, მიზნებისა და ამოცანების სტრატეგიის შეფასება, ინფორმაციის მართვა-მიღება და დამუშავება;
- ფინანსური ანალიზის საჭირო მონაცემების შეგროვება და განმარტება;
- საფინანსო-საბანკო მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი;
- ფინანსურ პრობლემესთან დაკავშირებული ინფორმაციის წყაროების ძიება საინფორმაციო ბაზის სტრუქტურისა, ანალიზი და დასკვნების კონკრეტიზაცია.

კომუნიკაციის უნარი

- შეუძლია თავისი დასკვნებითა და არგუმენტებით კომუნიკაცია ბანკირებთან და ფინანსისტებთან, აკადემიურ, პროფესიულ საზოგადოებასთან ასევე არასპეციალისტებთან, მათ შორის უცხო ენაზე;

- შემოქმედებითად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, დარგის თავისებურებების გათვალისწინებით;
- ფლობს საქმიანი შეხვედრებისა და პრეზენტაციების დამოუკიდებლად ორგანიზების უნარს;
- აქვს დასაბუთებული კრიტიკისა და თვითკრიტიკის უნარი;
- შეუძლია უცხო ენების თავისუფლად გამოყენება აკადემიურ და პროფესიულ თემებზე სასაუბროდ;
- შეუძლია ბანკებში მოლაპარაკებების დამოუკიდებლად წარმართვა;
- აქვს ფასიანი ქაღალდების გარიგებებში მონაწილეობისა და ბირჟაზე კომუნიკაციის უნარი;
- შეუძლია კვლევის თანამედროვე რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდების საფუძველზე ბიზნეს - მოდელების კორექტულად და ინფორმაციულად ჩამოყალიბება;
- აქვს დროის ორგანიზებისა და მართვის უნარი, მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერიტი კომუნიკაციის უნარი; მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერიტი კომუნიკაციის უნარი, პრეზენტაციების უნარი;
- აქვს საბანკო სფეროში სპეციალიზირებული სტატიების და ტექნიკური ინსტრუქციების გაგების უნარი;
- აქვს საქართველოში საბანკო ორგანიზაციების საქმიანობის თაობაზე საჯარო მონაცემების მოპოვების, მათი დამოუკიდებლად იდენტიფიცირების და დიაგნოსტიკის უნარი;
- შეუძლია პროფესიულ კონტექსტში ბანკის ფუნქციური ქვედანაყოფების წევრებთან შეთანხმებული მუშაობა;
- შეუძლია ფინანსური იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება;
- შეუძლია საკუთარი ფინანსური ანალიტიკური დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით;

სწავლის უნარი

- შეუძლია, დამოუკიდებლად დაგეგმოს და განახორციელოს სწავლა.
- ფლობს კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი/ორიგინალური გზების ძიების, მათ შორის მაგისტრისათვის სავალდებულო კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარ-ჩვევებს;

ღირებულებები

- შეუძლია მულტიკულტურულ ფასეულობათა პატივისცემა და სხვადასხვა ქვეყნების მორალური და ეთიკური ნორმების გაცნობიერება და საერთაშორისო კომპანიებში მათი დაცვა.

3.1.2. დარგობრივი კომპეტენციები

ცოდნა და გაცნობიერება

სიღრმისეულად უნდა იცოდეს:

- კვლევის თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები;
- საბაზრო ეკონომიკაში ფულად – საკრედიტო სისტემის ორგანიზაციის პრინციპები;
- საბანკო მექანიზმი და საბანკო სისტემის ფუნქციონირების თავისებურებები;
- კომერციული ბანკების ფულად-საკრედიტო ოპერაციები;
- კომერციული ბანკების ფინანსების მართვის მეთოდები და ტექნოლოგიები;
- საბანკო სფერო, რაც საშუალებას აძლევს ფლობდეს დაკრედიტების თანამედროვე სისტემის ფუნქციონირების სპეციფიკას და ფულად-საკრედიტო ოპერაციების წარმოების მექანიზმს;
- კომერციული ბანკებში ფინანსური ნაკადების ორგანიზაციის და ფუნქციონირების პრაქტიკა;

- ბანკების სავალუტო ოპერაციები, რაც საშუალებას აძლევს ფლობდეს სავალუტო ოპერაციების წარმოების მექანიზმს, აცნობიერებდეს ხელისუფლების სავალუტო პოლიტიკას და მათი გადაჭრის გზებს;
- კაპიტალის ბაზრის ეკონომიკური არსი, მისი წარმოშობა და ფუნქციები, ფასიანი ქაღალდების სახეები და ემისია;
- ფინანსური რისკების მართვის მეთოდები;
- კომერციულ ბანკებში ბუღალტრულ აღრიცხვის, კონტროლის და შიდა აუდიტის მართვის თავისებურებები. შიდა კონტროლის სისტემის მნიშვნელობა საბანკო სექტორის საბოლოო შედეგებისათვის; შიდა საბანკო კონტროლის სტრატეგიის ძირითადი შემადგენლები;
- ოპერაციათა მართვის თავისებურებები ;
- ფინანსური ანალიზი, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. ფინანსური ანალიზის სფეროში ცალკეული პრობლემის გადაჭრის ალტერნატიულ გზები;
- ინვესტიციების ეკონომიკური არსი, კლასიფიკაცია, შინაარსი და სახეობები; ინვესტიციური პროცესის ორგანიზაციისა და დაგეგმვის კანონით განსაზღვრული მოქმედებათა წესები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

მაგისტრი სიღრმისეულად უნდა ფლობდეს:

- საფინანსო-საბანკო ინსტიტუტებში როგორც წევრის, ასევე, ლიდერის როლში ეფექტური მუშაობის უნარებს;
- ინტერდისციპლინარულ ჯგუფში მუშაობის, სხვა საგნობრივი სფეროს ექსპერტებთან თანამშრომლობის უნარებს;
- საბანკო საქმიანობის სფეროში მიმდინარე პროცესების ანალიტიკური შეფასების, ეკონომიკურ ცვლილებათა გააზრების, მათი შესაბამისი ადეკვატური ქცევისა და გადაწყვეტილების მიღების უნარ-ჩვევებს;
- ინვესტიციების თეორიის თანამედროვე მიღწევების, ფულად-საკრედიტო, ფასიანი ქაღალდების და სავალუტო ბაზრების ანალიზის და ცალკეული ინსტრუმენტების გამოყენების პერსპექტივის შეფასების უნარს;
- საბანკო რისკების მენეჯმენტის მეთოდებს;
- კლიენტის დაკრედიტების საკითხების, ფულადი ოპერაციების, გაცემული სესხების მონიტორინგის და კონტროლის უნარ-ჩვევებს;
- ბანკის ფინანსური მდგომარეობის, მისი ლიკვიდობის და გადახდისუნარიანობის ანალიზის, საბანკო რისკების შეფასების და პრობლემების გადაწყვეტის გზების ძიების უნარს;
- სავალუტო ანგარიშების და სავალუტო-სასესხო ოპერაციების წარმოების ცოდნას;
- ფასიანი ქაღალდების ბაზრის სახელმწიფო რეგულირებას და რეგულირების მექანიზმის პრაქტიკაში გამოყენების უნარს;
- ბიზნესის შეფასების მეთოდებს, ამ მეთოდოლოგიის საფუძველზე ბიზნესის ღირებულების მართვას;
- რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზის მეთოდების გამოყენების უნარს და მიღებული შედეგების ეკონომიკური ინტერპრეტაციის, კონკრეტული ეკონომიკური მოვლენების თუ პროცესის შესაბამისი მეთოდის შერჩევას და შედეგების ანალიზის უნარს;
- ფინანსური ანალიზის სფეროსათვის დამახასიათებელი ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენების უნარს,
- საჭირო თეორიული კვლევების დამოუკიდებლად ორგანიზების, სასწავლო ან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებში სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის წარმართვის უნარ-ჩვევებს.

მაგისტრს უნდა შეეძლოს:

- ბანკების ლიკვიდობის და გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფის ადმინისტრირება;
- ფინანსურ ბაზრებზე ბანკების ადგილის განსაზღვრა და მათი ეფექტიანობის დასაბუთება;
- საბანკო რისკების დამოუკიდებლად რანჟირება და მათი დონის დადგენა;

- საბანკო-საფინანსო ინსტიტუტების წინაშე არსებული ამოცანების დამოუკიდებლად დასმა, მათი გადაწყვეტის გზების დასახვა;
- ფულის და კრედიტის თეორიებისა და მოდელების თანამედროვე პრაქტიკული სიტუაციებისადმი მისადაგება და სათანადო დასკვნების გაკეთება.
- გააცნობიეროს საბანკო მომსახურების მრავალფეროვნება და ხარისხის მნიშვნელობა სამეწარმეო სუბიექტებსა და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობაში.

3.2. მაგისტრის პროფესიული საქმიანობის სფერო და ობიექტი

მაგისტრის პროფესიული საქმიანობის სფეროა საფინანსო ინსტიტუტები, ბიზნესის სახელმწიფო და კერძო სტრუქტურები.

მაგისტრის პროფესიული საქმიანობის ფუნქციებია: საბანკო, საზოგადოებრივი და კერძო სექტორის, საქართველოში არსებული ეროვნული და საერთაშორისო კომპანიების, ორგანიზაციების, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის ფინანსური მენეჯმენტი, ფინანსების მოზიდვა და რეგულირება; მომგებიანი საბანკო პროდუქტის შექმნა და რეალიზაცია. წარმატებული საბანკო მენეჯმენტის განხორციელება.

მაგისტრის პროფესიული საქმიანობის სახეებია: საორგანიზაციო-მმართველობითი, ადმინისტრაციულ-სამეურნეო, საინფორმაციო-ანალიტიკური, საკონსულტაციო-ექსპერტული, კვლევითი, პედაგოგიური და სხვ.

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების ადგილი. სწავლების პროცესში მიღებული სავალდებულო სიღრმისეული თეორიული ცოდნისა და კვლევითი თუ პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევათა გათვალისწინებით, კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს:

- საბანკო და საფინანსო დაწესებულებებში, სადაზღვევო კომპანიებში;
- სახელმწიფოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურებში, სახელმწიფო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში;
- კერძო ფორმების ზედა და საშუალო დონის მმართველობით რგოლში;
- საქართველოში არსებულ ეროვნულ და საერთაშორისო კომპანიებში, როგორც სამრეწველო, ისე მომსახურების სფეროების ერთობლივ საწარმოებში და სხვ.
- სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში, ან დაეუფლოს კვალიფიკაციის ამაღლების სხვა პროგრამებს.


3.3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი „ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საბანკო საქმეში – **Master of Business Administration in Banking**“ და ეძლევა აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დიპლომი. დიპლომთან ერთად გაიცემა ევროპის კომისიის, ევროსაბჭოსა და UNESCO/CEPES -ის მიერ შემუშავებული მოდელის შესაბამისი ორენოვანი “დიპლომის დანართი“.

3.4. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნაზე, გააჩნია მოქნილობის მაღალი დონე და აძლევს შესაძლებლობას სტუდენტს სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების, კომბინაციის ხარჯზე შექმნას ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

პროგრამის სტრუქტურა



4. რეკრეაციული ტურიზმი

პროგრამის მიზანი

- სტუდენტების უზრუნველყოფა ტურიზმის სფეროში ღრმა და სისტემურ თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებზე დაფუძნებული პროგრამით;
- ტურიზმის ბიზნესისათვის მაღალკვალიფიციური მენეჯერების მომზადება, რომლებსაც შეეძლებათ ტურიზმისა და რეკრეაციის სფეროში აქტუალური პრობლემების გამოკვეთა, მათი ოპტიმალური გადაწყვეტა, კვლევების დამოუკიდებლად ჩატარება, ორიგინალური იდეების შემუშავება, უახლესი ინფორმაციის აღქმა, დამუშავება და მართვა;
- მაგისტრს შეეძლოს ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიებით ოპერირება და კომუნიკაცია პროფესიულ თუ აკადემიურ წრეებთან ამასთან, მშობლიურის გარდა, ერთერთ უცხოურ ენაზეც (სასურველია ინგლისური, რუსული).
- საზოგადოებრივად პასუხისმგებლიანი კადრის მომზადება, რომელიც აღიარებს ტურიზმის მნიშვნელოვან როლსა და მისიას საზოგადოების მდგრადი განვითარების, ქვეყნის ბუნებრივი გარემოსა და კულტურულ-ისტორიული ღირებულებების დაცვისა და განვითარების საქმეში;
- სტუდენტების უზრუნველყოფა ანალიზისა და კვლევის მეთოდებით პრაქტიკაზე დაფუძნებული სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისათვის;
- სტუდენტთა უზრუნველყოფა დოქტორანტურაში სწავლის გასაგრძელებლად აუცილებელი ცოდნითა და უნარ-ჩვევებით.
შეუქმნას მაგისტრანტებს პირობები:
- განათლების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, პროფესიული სრულყოფისათვის აუცილებელი სპეციალური დისციპლინების სიღრმისეული შესწავლისათვის;
- კონკრეტული ეკონომიკური და მმართველობითი ანალიზის თანამედროვე ტექნოლოგიათა დაუფლებისათვის;
- ტურიზმის ბიზნესის მართვის სფეროში პროფესიული მენეჯერული საქმიანობისათვის აუცილებელი ადმინისტრირების თეორიული და პრაქტიკულ ჩვევათა გამომუშავებისათვის;
- მართვის სფეროში აქტუალური პრობლემების გამოკვეთისა და ოპტიმალური გადაწყვეტილებების უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის;
- ანალიტიკური აზროვნებისა და შემოქმედებითი მიდგომის, თეორიული კვლევის დამოუკიდებლად წარმართვის უნარ-ჩვევათა განვითარებისათვის.

4.1. სწავლის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს საერთაშორისო ბიზნესის სფეროსათვის აუცილებელი **ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების განვითარებას**. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრს უნდა გააჩნდეს შემდეგი კომპეტენციები:

4.1.1. ზოგადი კომპეტენციები

დასკვნის უნარი

- რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება, რომლებშიც გამოხატულია ეთიკური და სოციალური პასუხისმგებლობები;
- ახალი ინფორმაციის განზოგადებისა და სინთეზის უნარი;

კომუნიკაციის უნარი

- დასკვნებისა და არგუმენტაციის შესახებ აკადემიურ, პროფესიულ საზოგადოებაში, ასევე, არასპეციალისტებთან, კომუნიკაცია, მათ შორის უცხოურ ენაზე;
- თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება, დარგის თავისებურებების გათვალისწინებით;
- კომპეტენციის ფარგლებში საქმიანი შეხვედრებისა და პრეზენტაციების ორგანიზება;
- აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებაში დამაჯერებელი, მკაფიო, და კომპეტენტური კომუნიკაცია, მათ შორის ერთერთ უცხო ენაზეც.

სწავლის უნარი

- სწავლის პროცესის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განახორციელების უნარი;
- ნასწავლის ფარგლებს გარეთ გასვლისა და შემდგომი სწავლის სტრატეგიის დაგეგმვის უნარი.

ღირებულებები

- ტურიზმის მდგრადი განვითარებისა და ტურიზმის, როგორც სოციალურად პასუხისმგებლიანი დარგის ღირებულების გათავისება და ამ ღირებულების დამკვიდრებაში საკუთარი წვლილის შეტანა მომავალ პროფესიულ საქმიანობაში.

4.1.2. დარგობრივი კომპეტენციები ცოდნა და

გაცნობიერება

- მსოფლიოს ტურისტულ-რეკრეაციული მაკრორეგიონებისა და რეგიონების, მათი რესურსთუზრუნველყოფის ღრმა და სისტემური ცოდნა; საერთაშორისო ტურიზმის განვითარების დონის, ტურიზმის მასობრივი და სპეციალური სახეების მართვის კომპლექსური პრობლემების ხედვა; ამ დარგების მართვის ხერხების, ტურიზმის განვითარების საერთაშორისო სტრატეგიების, კონცეფციების კრიტიკული ანალიზი და შეფასება;
- ტურისტული კომპანიის ინოვაციური სტრატეგიული მართვის პრინციპების ღრმა და სისტემური ცოდნა; კონკურენციის პირობებში სტრატეგიული გადაწყვეტილებების გამოკვეთა; სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებისას ორიგინალური მეთოდების შერჩევა ;
- მარკეტინგის თანამედროვე კონცეფციების სიღრმისეული ცოდნა; მარკეტინგული კვლევების ფორმების, პროცედურების, პრინციპების, ხერხების შეპირისპირება; მიზნობრივი ბაზრის შერჩევა; მარკეტინგის სისტემაში ინფორმაციის მოპოვებისა და გამოყენების, ინფორმაციის დეტალური ანალიზისა და სინთეზის უნარი;
- ტურიზმის თეორიისა და პოლიტიკის სიღრმისეული ცოდნა; ტურიზმის პოლიტიკისა და ადმინისტრირების საკითხების შეფასება; სახელმწიფოს, საერთაშორისო ორგანიზაციების, საზოგადოებრივი და კერძო სექტორების როლის, ფუნქციების, კოოპერირების მნიშვნელობის დეტალური გაანალიზება
- ტრანსნაციონალური სასტუმრო კორპორაციებში გამოყენებული მომსახურების ინოვაციური ტექნოლოგიების, სტანდარტების, მარკეტინგისა და მენეჯმენტის ძირითადი მიმართულებების სიღრმისეული ცოდნა;
- ტურისტული ბაზარზე საფასო და სასაქონლო სტრატეგიების სიღრმისეული ცოდნა;
- ტურიზმში და რეკრეაციაში სარეკლამო საქმიანობის მიზნებისა და ამოცანების, სარეკლამო საქმიანობის თავისებურებების, მსოფლიოსა და საქართველოს სუკეთესო გამოცდილების სიღრმისეული ცოდნა და შეფასება;
- ტურისტულ-რეკრეაციული საქმიანობის ორგანიზაციის პრინციპების, განვითარების სტრატეგიების საფუძვლიანი და სისტემური ცოდნა;
- რეკრეაციული ტურიზმის მენეჯერის პროფესიული სტანდარტების დეტალურად შეცნობა;
- ლოგისტიკური სისტემის არსის, სტრუქტურის, ფუნქციონირების თავისებურებების, ამოცანების სიღრმისეული და სისტემური ცოდნა; ლოგისტიკური ამოცანების განხორციელებისას წამოჭრილი პრობლემების კომპლექსური ხედვა და ანალიტიკური შეფასება;
- ინვესტიციური საქმიანობის გააქტიურების, ინვესტიციური საქმიანობის სტრუქტურული დაბალანსების ხერხების სიღრმისეული ცოდნა; ინვესტიციური უსაფრთხოების მიღწევს მეთოდების დეტალურად ჩამოყალიბება; საქართველოს გლობალურ ინვესტიციურ სივრცეში ინტეგრაციის სტრატეგიების შეფასება;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

- ტურიზმის სფეროში ჩამოყალიბებულ თანამედროვე მეცნიერულ შეხედულებათა საფუძველზე, ამ სფეროში მიმდინარე პროცესების კომპლექსური შეფასების უნარი;
- ტურიზმის სფეროში მიმდინარე მოვლენების დასაბუთებული ინტერპრეტაცია, კომპლექსური ანალიზის და ინფორმაციის სინთეზის უნარი;
 - ტურიზმში არსებული ძირითადი პრობლემების დიაგნოსტიკა. მოცემულ

პრობლემატიკაში ღრმად გარკვევისა და მათი გადაწყვეტისთვის აუცილებელ ღონისძიებათა, დასახვის უნარი; პრობლემების გადაჭრის ორიგინალური მიდგომების ძიების უნარი;

- დამოუკიდებელი კვლევის უნარი

4.2. მაგისტრის პროფესიული საქმიანობის სფერო და ობიექტი

პროფესიული საქმიანობის სფეროება: მონაწილეობა ტურიზმისა და კურორტების სისტემის ორგანიზებასა და ფუნქციონირებაში;

პროფესიული საქმიანობის ობიექტება: ტურისტულ-საკურორტო სისტემის ორგანოები; სახელმწიფო და არასახელმწიფო საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა შესაბამისი რგოლები. პროფესიული საქმიანობის ფუნქციებია: ტურიზმის სისტემის სტრუქტურულ ერთეულთა, აგრეთვე საზოგადოებრივი და კერძო სექტორის ორგანიზაციათა საქმიანობის დაგეგმვა, ორგანიზება, მოტივირება, კოორდინირება, რეგულირება და კონტროლი. **პროფესიული საქმიანობის სახეებია:** საორგანიზაციო - მმართველობითი; ადმინისტრაციულ - სამეურნეო; ინფორმაციულ - ანალიტიკური; საკონსულტაციო -ექსპერტული; პედაგოგიური (პრეპტიკულ მეცადინეობებზე). **პროფესიული საქმიანობის ტიპური ამოცანებია:** ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე საკურორტო და ტურისტულ დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა მართვა. შესაბამის სფეროებსა და რგოლებში სტრუქტურული ერთეულების მდგომარეობის ანალიზი და კონტროლი; განვითარების პერსპექტივების პროგნოზირება. **პროფესიული საქმიანობის მიმართულებებია:** ტურისტული და საკურორტო დაწესებულების საქმიანობის სტრატეგიების შემუშავება და მათი პრაქტიკული განხორციელება; საერთაშორისო ურთიერთობებში საქართველოს ტურისტული საწარმოების ჩართვა და საექსპორტო შემოსავლების ზრდის ხელისშეწყობა; მარკეტინგული კვლევების ჩატარება და მართვის ოპტიმალური მეთოდების შემუშავება-დანერგვა ტურისტულ – საკურორტო სფეროებში: ახალი ტურისტული მარშრუტების შემუშავება და შეთავაზება. ტურისტულ და საკურორტო მომხმარებელზე მოთხოვნის ანალიტიკური შეფასება და პროგნოზირება.

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების ადგილი. პროფესიული მომზადების, სწავლების პროცესში მიღებული სავალდებულო თეორიული ცოდნისა და კვლევითი თუ პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევათა გათვალისწინებით, კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს შემდეგ ორგანიზაციებში: საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო დაწესებულებები და ორგანიზაციები, საკურორტო, ტურისტული და სასტუმრო დაწესებულებები, ტურიზმის მართვის სახელმწიფო, და ადგილობრივი ორგანოები, უმაღლესი სასწავლებლები.

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში, ან დაეუფლოს პროფესიული სრულყოფისა და კვალიფიკაციის ამაღლების სხვა პროგრამებს.


4.3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია: **ტურიზმის მაგისტრი, სპეციალიზაციით: რეკრეაციული ტურიზმი (Master of Tourism, specialty - Recreational Tourism)** და ეძლევა აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დიპლომი. დიპლომთან ერთად გაიცემა ევროპის კომისიის, ევროსაბჭოსა და UNESCO/CEPES -ის მიერ შემუშავებული მოდელის შესაბამისი ორენოვანი “დიპლომის დანართი“.

4.4.სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნაზე, გააჩნია მოქნილობის მაღალი დონე და აძლევს შესაძლებლობას სტუდენტს სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების არჩევის ხარჯზე შექმნას ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

პროგრამის სტრუქტურა



5. სისხლის სამართალი

პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

- ა) ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის მომზადება და კურსდამთავრებულის აღჭურვა სამართლებრივი სივრცის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციით;
- ბ) საგანმანათლებლო სივრცეში და შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტის მომზადება, რომელსაც ექნება სისხლის სამართლის სფეროში პრინციპების, ინსტიტუტების, მატერიალური და პროცესუალური ნორმების, ცალკეული თეორიების, მათ მიერ რეგულირებული ურთიერთობების ღრმა და სისტემური ცოდნა, რაც მას მისცემს დასმული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახლებური ხედვის ფორმირების, სისხლის სამართლის სფეროსათვის მიკუთვნებული საკითხების გადაჭრის გზების გაცნობიერების შესაძლებლობას.
- გ) მაგისტრანტის სისხლის სამართლის სფეროში განვითარების ტენდენციებისა და ნოვაციების შესახებ სრულფასოვანი ცოდნით აღჭურვა საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრისა და მათი გადაჭრის გზების განსაზღვრის მიზნით.
- დ) ახლებური საკანონმდებლო მოწესრიგების, სასამართლო პრაქტიკის ან მეცნიერული მიდგომების პირობებში ცვლილებების ანალიზი, სწორი სამართლებრივი გადაწყვეტილებების მიღება და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება.
- ე) ნაკისრი ვალდებულებების შესრულების, ეთიკური ნორმების დაცვისა და ღირებულებების დამკვიდრებაში საკუთარი წვლილის შეტანის მოტივაციის გამომუშავება, რათა მაგისტრმა შეძლოს სისხლის სამართლის განვითარების სპეციფიკისა და ტენდენციების, არსებული გამოწვევების გათვალისწინება, არსებული კომპლექსური პრობლემების შეფასება.
- ვ) ადგილობრივ და საერთაშორისო იურიდიულ წრეებთან, აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციის დამყარება, ქართულ და უცხოურ ენაზე საკუთარი სამართლებრივი დასკვნების გადაცემა, არგუმენტების და მოსაზრებების შესახებ საუბარი, მოწინავე გამოცდილებისა და ინოვაციების გაზიარება, ცოდნისა და კომპეტენციების სრულყოფის მიზნით სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა.
- ზ) მომზადება სადოქტორო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად.

5.1. სწავლის შედეგები

სამაგისტრო პროგრამით დასახული მიზნების თანმიმდევრული და სრულფასოვანი განხორციელება უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის (მაგისტრატურის) კვალიფიკაციათა აღმწერის და სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის სათანადო დონით. შესაბამისად, მაგისტრი ფლობს შემდეგ კომპეტენციებს:

5.1.1. ზოგადი კომპეტენციები

დასკვნის უნარი

მაგისტრს შეუძლია:

- სისხლის სამართლის სფეროში ახლებური საკანონმდებლო მოწესრიგების, სასამართლო პრაქტიკის ან მეცნიერული მიდგომების პირობებში ცვლილებების ანალიზი და სისხლის სამართლის ინსტიტუტების შემდგომი განვითარების პროგნოზების შემუშავება, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება.
- სისხლის სამართლის სფეროში სამართალშეფარდების, სამართალშემოქმედების, აგრეთვე კვლევითი საქმიანობის განხორციელების პროცესში წამოჭრილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე მათი გამომწვევი მიზეზების დადგენა და მათი აღმოფხვრელად გასატარებელი ღონისძიებებზე არგუმენტირებული დასკვნის გამოტანა.
- სისხლის სამართლის, სისხლის საპროცესო სამართლის განვითარების ტენდენციებზე გავლენის მქონე ფაქტორების ანალიზი და მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით შესაბამისი სფეროს ინსტიტუტების განვითარების პერსპექტივებზე არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბება.

კომუნიკაციის უნარი

მაგისტრს აქვს:

- საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით საკუთარი სამართლებრივი დასკვნების, არგუმენტების გადაცემა მშობლიურ და უცხო ენებზე წერილობითი და ზეპირი ფორმით აკადემიური და პროფესიული საზოგადოებისათვის.
- სასამართლო დოკუმენტაციის, სასამართლო გადაწყვეტილების, სხვადასხვა სახის ზეპირი და ელექტრონული პრეზენტაციების მომზადება და მისი გაცნობა დაინტერესებული საზოგადოებისათვის;
- სამუშაო ჯგუფის წევრებთან კომუნიკაცია სამუშაოს მიზნების და ამოცანების გამოკვეთის მიზნით; მოსალოდნელი შედეგების აღწერა, კონფლიქტური სიტუაციების მოწესრიგება წერილობითი და ზეპირი კომუნიკაციის გზით.

სწავლის უნარი

მაგისტრს შეუძლია:

- დამოუკიდებლად განსაზღვროს სისხლის სამართლის სფეროში თეორიული კომპონენტებისა და პრაქტიკული გამოცდილების სინთეზი.
- გაიფართოოს ცოდნა სისხლის სამართლის სფეროს უახლეს მეთოდებზე დაყრდნობით, პირველადი წყაროების, სამეცნიერო სტატიებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების განზოგადებული ანალიზის მეშვეობით.
- სისხლის სამართლის სფეროში დანერგილი ინოვაციური მიდგომებისა და გამოცდილების გაზიარება, უახლესი მონაცემების, ინფორმაციის დამოუკიდებლად ათვისება.
- სწავლის პროცესისა და საკუთარი სწავლის დამოუკიდებლად დაგეგმვა, გამომუშავებული კომპეტენციების სრულყოფა და მისი მუდმივად განახლება.

ღირებულებები

- სისხლის სამართლის სფეროში მხარეთა ინტერესების სამართლიანად დაბალანსების უზრუნველსაყოფად ანალიზებს არსებულ სამართლებრივ ღირებულებებს;
- საჭიროების შემთხვევაში წვლილი შეაქვს ახალი ღირებულებების ფორმირებაში, რათა მოახდინოს ზნეობრივი საკითხების გამოკვეთა და სათანადო გადაწყვეტილების მისაღებად შესაბამისი პრინციპებისა და წესების გონივრულად გამოყენება;
- სასამართლო განხილვა-გადაწყვეტის დროს სამართლიანობის მნიშვნელობის ადეკვატური შეფასება და გათვალისწინება პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას;
- მიუკერძოებლობის, ობიექტურობის, სისხლის სამართალწარმოების მონაწილეთა უფლებების პრიორიტეტულობის, თანასწორობის პრინციპების პატივისცემის განცდა.

5.1.2. დარგობრივი კომპეტენციები

ცოდნა და გაცნობიერება

- მაგისტრს აქვს სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის პროცესის ინსტიტუტების ღრმა და სისტემური ცოდნა, რაც აძლევს დასმული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახლებური ხედვის ფორმირების შესაძლებლობას. გაცნობიერებული აქვს შესაბამისი სფეროსათვის მიკუთვნებული საკითხების გადაჭრის გზები.
- იცის სასამართლო პროცესზე კომუნიკაციის, სასამართლოში საქმეთა მართვის ნაკადის ძირითადი პრინციპები, თუ როგორ ხდება საქმის წარმოების დაჩქარება სასამართლოში, ხმის ჩამწერი და ელექტრონული პროგრამების განხორციელება;
- აცნობიერებს სასამართლო მენეჯერის ინსტიტუტის, საქმის ელექტრონული წარმოების, მოლაპარაკებების წარმართვის ფსიქოლოგიურ თავისებურებებს;
- სიღრმისეულად იცის დანაშაულის კლასიკური, ნეოკლასიკური, ფინალური, ტელეოლოგიური, ფუნქციონალური სისტემები; მოქმედების კაუზალური, ფინალური, პერსონალური, ნეგატიური და სოციალური ცნებები; ევენტუალური განზრახვისა და თვითიმედოვნების ურთიერთგამიჯვნის თეორიები; ბრალის ეტაპზე დასადგენი შეცდომის სახეები; სისხლისსამართლებრივი შეცდომის მოძღვრება;
- აცნობიერებს სისხლის სამართლის საგარანტიო ფუნქციას; ობიექტური შერაცხვის პრობლემებს; ნებელობის დოგმატიკური ფიგურის მნიშვნელობას სისხლის სამართალში;

- აქვს ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის საკითხების ღრმა და სისტემური ცოდნა; აცნობიერებს ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის, სისხლის სამართლის საქმეთა ჭეშმარიტების დადგენისა და ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის თანაფარდობის პრობლემებს; საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში დანაშაულის კვალიფიკაციის პრობლემატური საკითხების გადაჭრის გზებს;
- სიღრმისეულად იცის მტკიცების ფარგლები, მტკიცებულებათა დასაშვებობის შინაარსი და მისი ცალკეული სახეების დასაშვებობის საკითხები; აცნობიერებს მტკიცების პროცესთან მიმართებაში შეჯიბრებითობის თავისებურებებს, უტყუარობის, როგორც შეჯიბრებითობის პროცესის მიზანს;
- სიღრმისეულად იცის დელიქტთა კლასიფიკაცია; სასჯელის გამომრიცხველ გარემოებებსა და სისხლისსამართლებრივი დევნის პირობებში შეცდომა; მონაწილეობის დუალისტური სისტემა და ერთიანი ამსრულებლის პრინციპი; ნების განხორციელების საფეხურები; კონკურენციაზე მოძღვრების საფუძვლები;
- აცნობიერებს ქმედების შემადგენლობათა სახეცვლილებებსა და მათ მნიშვნელობას; შედეგის ობიექტური შერაცხვის პრობლემურ შემთხვევებს; დამთავრებული და დაუმთავრებელი მცდელობის ურთიერთგამიჯვნის პრობლემებს.
- სიღრმისეულად იცის საერთო სასამართლოების ორგანიზაციული მუშაობის წესები, სასამართლო აპარატის სტრუქტურა და ორგანიზაცია, საქმიანობის მიმართულებები; თავმჯდომარის მიერ საქმეების განაწილების, მოსამართლის შეცვლის, უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების, სასამართლო საქმეების გაცნობისა და სასამართლო საბუთების გაცემის წესები. აცნობიერებს სასამართლო პროცესის ორგანიზაციის თავისებურებებს, სასამართლოს აპარატის მუშაობის სპეციფიკას.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

მაგისტრს შეუძლია:

- განმარტების მეთოდების გამოყენებით სისხლის სამართლის სფეროში სამართლებრივი პრობლემების კომპლექსური შეფასება და მათი გადაწყვეტის ორიგინალური გზების შემუშავება.
- სისხლის სამართლის სფეროში თეორიული თუ პრაქტიკული ხასიათის პრობლემების კომპლექსური და მრავალმხრივი შეფასება სამართლებრივი დებულებების სწორი ინტერპრეტაციისათვის განმარტების მეთოდების გამოყენებით და პრობლემების გადაწყვეტის მისეული, ორიგინალური ხედვის შემუშავება.
- დანაშაულის მოძღვრებასთან დაკავშირებული საკითხების კომპლექსური შეფასება, პრობლემების გადაწყვეტის გზების შემუშავება, ცალკეული თეორიების, საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული მიდგომების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება;
- ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციასთან დაკავშირებული პრობლემების კომპლექსური შეფასება და მათი გადაწყვეტის ორიგინალური გზების შემუშავება;
- მტკიცებულებებთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემების კომპლექსური შეფასება, მათი გამოყენებისას წარმოშობილი პრობლემების გადაწყვეტის გზების შემუშავება;
- შეუძლია კომპლექსურად შეაფასოს სასამართლო პროცესის ორგანიზაციული, სასამართლოს ცალკეული სტრუქტურული ერთეულების პრობლემები და განსაზღვროს, თუ როგორ მოხდეს მათი გადაჭრა;
- საკანონმდებლო სიახლეთა სწორად გაგება და მათი სისტემური ანალიზი, სისხლისსამართლებრივ პრობლემათა შედარებითი იურიდიული დახასიათება; განმარტების მეთოდების გამოყენებით სისხლის სამართლის აქტუალური პრობლემების შეფასება და მათი გადაწყვეტის გზების შემუშავება;
- სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის სწორად გამოყენება, კომპლექსური პროცესუალური პრობლემების სწორად შეფასება და გადაჭრა ორიგინალური ხერხების და საშუალებების გამოყენებით, სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვის დროს პროკურორის, ადვოკატის, მოსამართლის კონკრეტულ უფლებამოსილებათა პრაქტიკაში გამოყენება.

5.2. მაგისტრის პროფესიული საქმიანობის სფერო, ობიექტი და საქმიანობის სახეები.

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც არ მოითხოვება სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი. მას შეეძლება სახელმწიფო სასერტიფიკატო გამოცდის ჩაბარება, რომელიც სავალდებულოა იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მისაღებად, ასევე პროკურორისა და ადვოკატის თანამდებობის დასაკავებლად. ამასთან, ცალკეული პროფესიის დაუფლებისათვის შესაძლებელია კანონმდებლობით ან შესაბამისი პროფესიული გაერთიანების მიერ გათვალისწინებული იყოს დამატებითი წინაპირობები. სამართლის მაგისტრს შეუძლია დასაქმდეს: საჯარო დაწესებულებებში, საერთაშორისო მთავრობათაშორის ორგანიზაციებში, არასამთავრობო დაწესებულებებში, ასევე კერძო სექტორში.

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია დოქტორანტურაში. მას ექნება შესაძლებლობა, იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ჩაბარება.


5.3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი - **სამართლის მაგისტრი სისხლის სამართალში (Master of Law in Criminal law)** და ეძლევა სამაგისტრო პროგრამის გავლის დამადასტურებელი სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დიპლომი. დიპლომთან ერთად გაიცემა ევროპის კომისიის, ევროსაბჭოსა და UNESCO/CEPES-ის მიერ შემუშავებული მოდელის შესაბამისი ორენოვანი „დიპლომის დანართი“.

5.4. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნაზე, გააჩნია მოქნილობის მაღალი დონე და აძლევს შესაძლებლობას სტუდენტს სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების არჩევის ხარჯზე შექმნას ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

პროგრამის სტრუქტურა



6. კერძო/ბიზნეს სამართალი

პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

- ა) ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის მომზადება და კურსდამთავრებულის აღჭურვა სამართლებრივი სივრცის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციით.
- ბ) საგანმანათლებლო სივრცეში და შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი კერძო/ბიზნეს სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტის მომზადება, რომელსაც ექნება კერძო/ბიზნეს სამართლის სფეროში პრინციპების, ინსტიტუტების, სამართლის ნორმების მიერ რეგულირებული ურთიერთობების ღრმა და სისტემური ცოდნა, რაც მას მისცემს დასმული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახლებური ხედვის ფორმირების, კერძო/ბიზნეს სამართლის სფეროსათვის მიკუთვნებული საკითხების გადაჭრის გზების გაცნობიერების შესაძლებლობას.
- გ) კერძო/ბიზნეს სამართლის სფეროში ცალკეული ინსტიტუტების განვითარების ტენდენციების, ნოვაციების შესახებ მაგისტრანტის სრულფასოვანი ცოდნით აღჭურვა საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრისა და მათი გადაჭრის გზების განსაზღვრის მიზნით.
- დ) კერძო/ბიზნეს სამართლის სფეროში ახლებური საკანონმდებლო მოწესრიგების, სასამართლო პრაქტიკის ან მეცნიერული მიდგომების პირობებში ცვლილებების ანალიზი და გამომდინარე დასკვნის ჩამოყალიბება.
- ე) ნაკისრი ვალდებულებების შესრულების, ეთიკური ნორმების დაცვისა და ღირებულებების დამკვიდრებაში საკუთარი წვლილის შეტანის მოტივაციის გამომუშავება, რათა მაგისტრმა შეძლოს კერძო/ბიზნეს სამართლის განვითარების სპეციფიკისა და ტენდენციების, არსებული გამოწვევების გათვალისწინება, არსებული კომპლექსური პრობლემების შეფასება.
- ვ) ადგილობრივ და საერთაშორისო იურიდიულ წრეებთან, აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციის დამყარება, საკუთარი სამართლებრივი დასკვნების გადაცემა, არგუმენტების და მოსაზრებების შესახებ საუბარი, მოწინავე გამოცდილებისა და ინოვაციების გაზიარება, ცოდნისა და კომპეტენციების სრულყოფის მიზნით სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა.
- ზ) მომზადება სადოქტორო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად.

6.1. სწავლის შედეგები

სამაგისტრო პროგრამით დასახული მიზნების თანმიმდევრული და სრულფასოვანი განხორციელება უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის (მაგისტრატურის) საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერის და სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის სათანადო დონით. შესაბამისად, მაგისტრი ფლობს შემდეგ კომპეტენციებს:

6.1.1. ზოგადი კომპეტენციები

დასკვნის უნარი

რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი. კერძოდ, მაგისტრს:

- კერძო/ბიზნეს სამართლის სფეროში ახლებური საკანონმდებლო მოწესრიგების, სასამართლო პრაქტიკის ან მეცნიერული მიდგომების პირობებში შეუძლია ცვლილებების ანალიზი და ცალკეული ინსტიტუტების შემდგომი განვითარების პროგნოზების შემუშავება, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება.
- შეუძლია კერძო/ბიზნეს სამართლის სფეროში სამართალშეფარდების, სამართალშემოქმედების, აგრეთვე კვლევითი საქმიანობის განხორციელების პროცესში წამოჭრილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე მათი გამომწვევი მიზეზების დადგენა და მათი აღმოფხვრელად გასატარებელი ღონისძიებებზე არგუმენტირებული დასკვნის გამოტანა.
- შეუძლია კერძო/ბიზნეს სამართლის დარგების განვითარების ტენდენციებზე გავლენის მქონე ფაქტორების ანალიზი და მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით შესაბამისი

სფეროს ინსტიტუტების განვითარების პერსპექტივებზე არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბება.

კომუნიკაციის უნარი

თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით. კერძოდ, მაგისტრს შეუძლია:

- თანამედროვე კომუნიკაციების ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით საკუთარი სამართლებრივი დასკვნების, არგუმენტების გადაცემა მშობლიურ და უცხო ენებზე წერილობითი და ზეპირი ფორმით აკადემიური და პროფესიული საზოგადოებისათვის.
- კომუნიკაცია სამუშაოს მიზნების და ამოცანების განსაზღვრის მიზნით; მოსალოდნელი შედეგების აღწერა, მხარეთა შორის ურთიერთობის მოწესრიგება წერილობითი და ზეპირი კომუნიკაციის გზით.

სწავლის უნარი

სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე. კერძოდ, მაგისტრს შეუძლია:

- დამოუკიდებლად განსაზღვროს კერძო/ბიზნეს სამართლის სფეროში თეორიული კომპონენტებისა და პრაქტიკული გამოცდილების სინთეზი.
- გაიფართოს ცოდნა კერძო/ბიზნეს სამართლის სფეროს უახლეს მეთოდებზე დაყრდნობით, პირველადი წყაროების, სამეცნიერო სტატიებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების განზოგადებული ანალიზის მეშვეობით.
- კერძო/ბიზნეს სამართლის სფეროში დანერგილი ინოვაციური მიდგომებისა და გამოცდილების გაზიარება, უახლესი მონაცემების, ინფორმაციის დამოუკიდებლად ათვისება.
- კონკრეტულ სფეროში სწავლის პროცესისა და საკუთარი სწავლის დამოუკიდებლად დაგეგმვა, გამომუშავებული კომპეტენციების სრულყოფა და მისი მუდმივად განახლება.

ღირებულებები

ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა. კერძოდ:

- კერძო/ბიზნეს სამართლის სფეროში სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესების სამართლიანად დაბალანსების უზრუნველსაყოფად ანალიზებს არსებულ სამართლებრივ ღირებულებებს.
- საჭიროების შემთხვევაში წვლილი შეაქვს ახალი ღირებულებების ფორმირებაში, რათა მოახდინოს სათანადო გადაწყვეტილების მისაღებად შესაბამისი პრინციპების გონივრულად გამოყენება.
- მიუკერძოებლობის, ობიექტურობის, სამართალწარმოების მონაწილეთა უფლებების პრიორიტეტულობის, თანასწორობის პრინციპების პატივისცემის განცდა.

6.1.2. დარგობრივი კომპეტენციები

ცოდნა და გაცნობიერება

მაგისტრს აქვს სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს. კერძოდ:

- მაგისტრს აქვს კერძო/ბიზნეს სამართლის სფეროში შემავალი ინსტიტუტების ღრმა და სისტემური ცოდნა, რაც აძლევს დასმული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახლებური ხედვის ფორმირების შესაძლებლობას. გაცნობიერებული აქვს შესაბამისი სფეროსათვის მიკუთვნებული საკითხების გადაჭრის გზები.
- იცის სასამართლო პროცესზე კომუნიკაციის პრინციპები და შემადგენელი ელემენტები; მოსამართლესთან კომუნიკაციის წესის დარღვევისათვის ცალკეულ პირთა პასუხისმგებლობის საფუძვლები. აცნობიერებს მოლაპარაკებების წარმართვის ფსიქოლოგიურ თავისებურებებს.
- იცის სანოტარო სამართლის ძირითადი პრინციპები და სანოტარო მოქმედების შესრულების წესები; ნოტარიატის ინსტიტუტის სტრუქტურა და ორგანიზაცია; სანოტარო

საქმისწარმოების მარეგულირებელი ნორმები. აცნობიერებს ნოტარიატის ინსტიტუტის არსსა და მნიშვნელობას; სანოტარო კანონმდებლობის გამოყენების თავისებურებებს; ნოტარიუსის როლს სამართალურთიერთობის უზრუნველყოფის მიზნით სანოტარო მოქმედებების შესრულებისას.

- აქვს მატერიალურ-სამართლებრივი ხასიათის ნორმატიულ აქტებში ასახული სპეციალური საპროცესო ნორმებისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსში არსებული ზოგადი ნორმების თანაფარდობის, ზოგადი და სპეციალური საპროცესო ნორმების ურთიერთმიმართების, პრეზუმფციასთან, პრეიუდიციასთან და საპროცესო ვადების გამოთვლასთან, საარბიტრაჟო განხილვასა და გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების სიღრმისეული ცოდნა. აცნობიერებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების დადებით და უარყოფით მხარეებს; იურიდიული ინტერესის მნიშვნელობას სამოქალაქო სამართალწარმოებაში; ცალკეული კატეგორიის სამოქალაქო საქმეთა განხილვის თავისებურებებს.
- სიღრმისეულად იცის მოსამართლის სამუშაო მეთოდები (რელაციის ტექნიკა), გადაწყვეტილების ნაწილების (შინაარსის) ჩამოყალიბების მეთოდები. აცნობიერებს მტკიცების სტადიის, საქმის ფაქტობრივი გარემოებების პრაქტიკულ მნიშვნელობას, ცალკეული კატეგორიის სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდის თავისებურებებს.
- აქვს საბანკო სისტემის ძირითადი რგოლების სამართლებრივ მდგომარეობასთან, საკრედიტო და საანგარიშსწორებო ოპერაციების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების სიღრმისეული ცოდნა. გაცნობიერებული აქვს ეროვნული ბანკის განსაკუთრებული როლი ქვეყნის საფინანსო-საბანკო ურთიერთობათა წარმოშობასა და განვითარებაში, კომერციული ბანკების, საკრედიტო კავშირებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რეგისტრაციის, ლიცენზირებისა და ზედამხედველობის განხორციელებისას არსებული პრობლემური საკითხების გადაჭრის გზები.
- აქვს საზღვარგარეთის ქვეყნების საკორპორაციო სამართლის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტების, ევროკავშირის ფარგლებში საკორპორაციო სამართლის ჰარმონიზაციის ძირითადი მიმართულებებისა და ძირითადი პრინციპების სისტემური ცოდნა, რომელზეც აგებულია ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული სამართლებრივი სისტემის მქონე ქვეყნების საკორპორაციო სამართალი. აცნობიერებს საკორპორაციო-სამართლებრივი ევროპული დირექტივების გავლენის მნიშვნელობას ქართულ სამართალზე; საკორპორაციო სამართალში საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების მნიშვნელობას ქართული საკორპორაციო სამართლისათვის.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით. კერძოდ:

მაგისტრს შეუძლია:

- განმარტების მეთოდების გამოყენებით კერძო/ზიზნეს სამართლის სფეროში სამართლებრივი პრობლემების კომპლექსური შეფასება და მათი გადაწყვეტის ორიგინალური გზების შემუშავება.
- კერძო/ზიზნეს სამართლის სფეროში თეორიული თუ პრაქტიკული ხასიათის პრობლემების კომპლექსური და მრავალმხრივი შეფასება სამართლებრივი დებულებების სწორი ინტერპრეტაციისათვის განმარტების მეთოდების გამოყენებით და პრობლემების გადაწყვეტის მისეული, ორიგინალური ხედვის შემუშავება.
- მორიგებისა და მოლაპარაკების პროცესში წამოჭრილი სამართლებრივი პრობლემების შეფასება და მათი გადაწყვეტის გზების შემუშავება; სასამართლო პროცესზე კომუნიკაცია მისი შემადგენელი ელემენტების გამოყენებით.
- სანოტარო სამართლის სფეროში სამართლებრივი პრობლემების კომპლექსური შეფასება და ამ პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალური გზების შემუშავება; სანოტარო საქმისწარმოების მარეგულირებელი ნორმების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება;

სანოტარო სამართლის ცალკეული ნორმების მნიშვნელობის დასაბუთება. ამასთან, იგი ფლობს სანოტარო საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.

- განმარტების მეთოდების გამოყენებით კომპლექსურად შეაფასოს სამოქალაქო სამართალწარმოებაში არსებული სამართლებრივი პრობლემები, განსაზღვროს სამოქალაქო საქმეთა განხილვის საპროცესო თავისებურებანი და შეიმუშაოს პრობლემების გადაწყვეტის გზები.
- საბანკო კანონმდებლობაში არსებული პრობლემების კომპლექსური შეფასება, მათი გადაწყვეტის გზების შემუშავება; საბანკო ურთიერთობათა მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების კომპეტენტურად განმარტება.
- საკორპორაციო ურთიერთობების პროცესში წამოჭრილი პრობლემური საკითხების ანალიტიკური შეფასება მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით და მათი გადაწყვეტის გზების შემუშავება.

6.2. მაგისტრის პროფესიული საქმიანობის სფერო, ობიექტი და საქმიანობის სახეები.

- კერძო/ზიზნეს სამართლის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს - სამართლის მაგისტრს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც არ მოითხოვება სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი. მას შეეძლება სახელმწიფო სასერტიფიკატო გამოცდის ჩაბარება, რომელიც სავალდებულოა იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მისაღებად, ასევე ნოტარიუსის და ადვოკატის თანამდებობის დასაკავებლად. ამასთან, ცალკეული პროფესიის დაუფლებისათვის შესაძლებელია კანონმდებლობით ან შესაბამისი პროფესიული გაერთიანების მიერ გათვალისწინებული იყოს დამატებითი წინაპირობები. სამართლის მაგისტრს შეუძლია დასაქმდეს: საჯარო დაწესებულებებში, საერთაშორისო მთავრობათაშორის ორგანიზაციებში, არასამთავრობო დაწესებულებებში, კერძო სექტორში.
- კერძო/ზიზნეს სამართლის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს - სამართლის მაგისტრს - სწავლის გაგრძელება შეუძლია დოქტორანტურაში. სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება შესაძლებლობა, იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ჩაბარება.


6.3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება **კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი - სამართლის მაგისტრი კერძო/ზიზნეს სამართალში (Master of Law in private/business law)** და ეძლევა სამაგისტრო პროგრამის გავლის დამადასტურებელი სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დიპლომი. დიპლომთან ერთად გაიცემა ევროპის კომისიის, ევროსაბჭოსა და UNESCO/CEPES-ის მიერ შემუშავებული მოდელის შესაბამისი ორენოვანი „დიპლომის დანართი“.

6.4. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნაზე, გააჩნია მოქნილობის მაღალი დონე და აძლევს შესაძლებლობას სტუდენტს სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების არჩევის ხარჯზე შექმნას ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

პროგრამის სტრუქტურა



7. მასობრივი კომუნიკაცია

პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი შეესაბამება გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მისიას, ორიენტირებულია დასაქმების მედიაბაზარზე, მიღწევადია და ნათლად არის ჩამოყალიბებული შემდეგ დებულებებში: მაგისტრანტს განუვითაროს და ჩამოუყალიბოს დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე დაფუძნებული ღირებულებები; შეუქმნას პირობები მისი პიროვნული რესურსების რეალიზებისათვის და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებისათვის.

პროგრამის მიზანია უმაღლესი განათლების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სწავლის ხარისხის შეთავაზებით მოამზადოს დარგობრივი ჟურნალისტები, რომლებიც ღრმად, საფუძვლიანად და კომპეტენტურად გააშუქებენ მიმდინარე, ქვეყნისათვის აქტუალურ პრობლემებს სამი წამყვანი დარგიდან - ეკონომიკის, პოლიტიკისა და კულტურის, რაც ფრიად შეუწყობს ხელს მათ კონკურენტუნარიანობას შრომით მედიაბაზარზე.

პროგრამის მიზანია მოამზადოს პროფესიონალი, რომელსაც გააჩნია საფუძვლიანი თეორიული ცოდნა მასობრივ კომუნიკაციაში; მასობრივი კომუნიკაციების განვითარების ტენდენციების სიღრმისეული შესწავლა და საკვანძო საკითხების შესახებ კონცეფტუალური ცოდნის სისტემატიზება; განათლების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად სოციალურ დისციპლინათა საფუძვლიანი და სიღრმისეული შესწავლა; მშობლიურ და უცხოურ ენებზე კომუნიკაციის უნარის ჩამოყალიბება; ელექტრონული მედიის (ტელე- და რადიომუშაობა) სფეროში თანამედროვე ტექნოლოგიათა დაუფლება სტუდენტური მუშაობის უზრუნველსაყოფად; დარგობრივი და ანალიტიკური ჟურნალისტური პრაქტიკისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება. შემენილი კომპეტენციების შესაბამისად კურსდამთავრებული მზად იქნება დამოუკიდებელი, მაღალკვალიფიციური პროფესიული საქმიანობისათვის.

აგრეთვე პროგრამის მიზანია მოამზადოს მაგისტრანტი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის და დარგში პედაგოგიური კანონმდებლობით გათვალისწინებული საქმიანობისათვის. პრაგრამამ უნდა შეძლოს მაგისტრანტის მიერ უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე მიღებული სპეციალობის შეცვლის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

7.1. სწავლის შედეგები

ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები

მიღებული საბაზისო და სპეციალური ცოდნისა და პრაქტიკული უნარების საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამა ამზადებს დარგობრივ ჟურნალისტს და მედიამკვლევარს, რომელიც შესაბამისად ფლობს შემდეგ კომპეტენციებს:

7.1.1. ზოგადი კომპეტენციები

დასკვნის უნარი

კურსდამთავრებულს კრიტიკული მიდგომის გათვალისწინებით შეუძლია რთული, არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების ანალიზი; ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; მასობრივი კომუნიკაციის სფეროში კვლევის შედეგად ღირებული მეცნიერული დასკვნების გამოტანა და რეკომენდაციების შემუშავება.

კომუნიკაციის უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია ჯგუფში ეფექტური მუშაობა როგორც წევრის, ასევე ლიდერის როლში; ფლობს რესპოდენტთან, აუდიტორიასთან კომუნიკაციის უნარს; წყაროსთან კომუნიკაციის უნარს; აქვს თვითპრეზენტაციის უნარი; გააჩნია მშობლიურ და უცხოურ ენებზე კომუნიკაციის უნარი.

სწავლის უნარი

კურსდამთავრებულს აქვს უნარი თავად დაგეგმოს და შეასრულოს სასწავლო პროცესის მოთხოვნები; შეუძლია სხვების სწავლის გაძლიერება.

ღირებულებები

კურსდამთავრებული აცნობიერებს მასობრივი კომუნიკაციის როლსა და მნიშვნელობას ღია, დემოკრატიული და განათლებული საზოგადოების ჩამოყალიბებაში.

7.1.2. დარგობრივი კომპეტენციები

ცოდნა და გაცნობიერება

- მაგისტრს უნდა გააჩნდეს მასობრივი კომუნიკაციის უახლესი თეორიული და კვლევაზე დამყარებული ღრმა სისტემური ცოდნა, მათ შორის მომიჯნავე და სხვა სოციალური დისციპლინათა სფეროებიდან;
- მაგისტრმა უნდა იცოდეს მედიის სხვადასხვა სფერო, მედიასივრცის სამართლებრივი, ეკონომიკური და ორგანიზაციული ასპექტები; მედიასისტემების თანამედროვე კონცეფციები და მოდელები; მედია სფეროში სტრატეგიული პრობლემატიკის ანალიტიკური გაშუქების მნიშვნელობა. თანამედროვე კვლევის, მათ შორის მედიის, მეთოდები და თანამედროვე კრეატიული პედაგოგიკის პრინციპები.
- მაგისტრი უნდა აცნობიერებდეს: მედიის როლსა და ადგილს გლობალიზაციის პროცესში და საზოგადოების განვითარების მოცემულ ეტაპზე; ჟურნალისტური პროფესიული სტანდარტების დაცვის მნიშვნელობას.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

მაგისტრი ფლობს:

- ცოდნის გამოყენების უნარს, კონსტრუქციული კრიტიკის კორექტულად გამოთქმისა და მიღების უნარს; პროფესიულ ტერმინოლოგიას ქართულ და უცხოურ ენებზე;
 - აკადემიური პროფესიული წერის აღიარებულ სტანდარტებს;
 - კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიას;
 - კრეატიული პედაგოგიკის ძირითად პრინციპებს;
 - ელექტრონული მედიის (ტელე- და რადიომუშაობა) სფეროში თანამედროვე ტექნოლოგიებს სტუდიური მუშაობის უზრუნველსაყოფად;
- მაგისტრს შეუძლია:
- პრობლემის დამოუკიდებლად გადაჭრა;
 - მიზნის დასახვა და შესაბამისი ამოცანების გადაჭრა; მუშაობა ზუსტად და ეფექტურად; ინიციატივის წარმოჩენა და პირადი პასუხისმგებლობის აღება პროფესიულ საქმიანობაში;
 - დარგობრივი (ეკონომიკა, პოლიტიკა, კულტურა) ჟურნალისტიკის მაღალკვალიფიციური, კომპეტენტური, ობიექტური, ანალიტიკური მედიაპროდუქტის მომზადება სამაუწყებლო და ბეჭდური მედიისათვის;
 - მაგისტრს შეუძლია მედია ანალიზის/კვლევის ჩატარება თანამედროვე კვლევის მეთოდების გამოყენებით; ფლობს პროფესიული წერის მაღალ სტანდარტებს; შესწევს უნარი სწორად განსაზღვროს სამიზნე მედიააუდიტორია სოციალური ფსიქოლოგიის მიერ დადგენილი პარამეტრების თანახმად და დაადგინოს მასზე სოციალური გავლენის ხარისხი;
 - შეუძლია მიიღოს მონაწილეობა სტრატეგიული კომუნიკაციების სხვადასხვა კამპანიების დაგეგმვასა და შესრულებაში.

7.2. მაგისტრის პროფესიული საქმიანობის სფერო და ობიექტი

- ა) სწავლის პროცესში მიღებული თეორიული ცოდნა, შეძენილი პრაქტიკული უნარ-ჩვევები და შესაბამისი კვლევითი გამოცდილება იძლევა იმის საფუძველს, რომ მასობრივ კომუნიკაციაში სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პიროვნებამ შეძლოს კონკრეტული კრიტერიუმების დაკმაყოფილება მედიაორგანიზაციებში, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების, კვლევით ცენტრების, უმაღლესი სკოლის შემდეგი პოზიციების დასაკავებლად: დარგობრივი ჟურნალისტი (სვეტის, გვერდის, რუბრიკის, გადაცემის და ა.შ. ავტორი; შესაბამისი (პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურის) რედაქციის საშუალო და მაღალი რგოლის რედაქტორი; საშუალო რგოლის მედიამენეჯერი; მედიაანალიტიკოსი, ჟურნალისტი-მიმომხილველი; ჟურნალისტიკისა ან/და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ლექტორი.
- ბ) სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეეძლება სწავლის გაგრძელება სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფართო სპექტრის სადოქტორო პროგრამებზე.

7.3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია


საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი - **სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი მასობრივ კომუნიკაციაში (The Academic Degree of Master of Social Sciences in Mass Communication)** და ეძლევა სამაგისტრო პროგრამის გავლის დამადასტურებელი სახელმწიფოს

მიერ დადგენილი ნიმუშის დიპლომი. დიპლომთან ერთად გაიცემა ევროპის კომისიის, ევროსაბჭოსა და UNESCO/CEPES-ის მიერ შემუშავებული მოდელის შესაბამისი ორენოვანი “დიპლომის დანართი“.

7.4.სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნაზე, გააჩნია მოქნილობის მაღალი დონე და აძლევს შესაძლებლობას სტუდენტს სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების, კომბინაციის, სპეციალობის მოდულის არჩევის ხარჯზე შექმნას ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

პროგრამის სტრუქტურა



8. სოციალური ფსიქოლოგია

პროგრამის მიზანი

სოციალური ფსიქოლოგიის პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ქვეყნის განვითარებას კვალიფიციური, მაღალი კომპეტენციის მქონე და მრავალმხრივ განათლებული, საზოგადოებრივად მოაზროვნე, დემოკრატიულ ღირებულებებზე ორიენტირებული აქტიური მოქალაქეების მომზადებით; მაგისტრანტებს სიღრმისეულად შეასწავლოს დარგის მიმართულებები, პრინციპები, თეორიები; მაგისტრანტები დაეუფლონ კვლევის თანამედროვე სტანდარტებს, გაეცნონ სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ სფეროში არსებულ მნიშვნელოვან საკითხებს და პრობლემებს; გაიზიარონ საერთაშორისო გამოცდილება, რაც აუცილებელია წარმატებული კარიერული წინსვლისათვის.

სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი კომპეტენციების, პროფესიული და პიროვნული პასუხისმგებლობის, ანალიტიკური შესაძლებლობების, ფსიქოლოგიის სფეროში ინოვაციების და გამოცდილების გაზიარების, უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით კრიტიკული ანალიზის საფუძველზე კვლევითი საქმიანობის განხორციელების და კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი გზების ძიების, აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციის უნარებისა და პროფესიულ-ეთიკური ნორმების დაცვისა და ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანის მოტივაციის ჩამოყალიბებაზე, რათა სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრმა სოციალურ ფსიქოლოგიაში შეძლოს თავისი კომპეტენციების და შესაძლებლობების სრული რეალიზება სწავლის დამოუკიდებლად დაგეგმვა-წარმართვა და სწავლის გაგრძელება დოქტურანტურაში.

8.1. სწავლის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამა ამზადებს კონკურენტუნარიან, კვალიფიციურ სპეციალისტს, რომელიც თანამედროვე მოთხოვნების შესაბამად, ადეკვატურად გააცნობიერებს თავის სფეროში წარმოქმნილ ცვლილებებს, შეძლებს პრობლემის გადაჭრას და დასახული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას. შესაბამისად მაგისტრი ფლობს შემდეგ კომპეტენციებს:

8.1.1. ზოგადი კომპეტენციები

დასკვნის უნარი

- კრიტიკული მიდგომის გათვალისწინებით შეუძლია რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;
- უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; სოციალური ფსიქოლოგიის სფეროში ექსპერიმენტული კვლევის შედეგად ღირებული მეცნიერული დასკვნების გამოტანა და რეკომენდაციების შემუშავება;
- სადისკუსიო თემების წარმოდგენა და საკუთარი აზრის დაცვა;
- ჯგუფური დავალებების, პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული სავარჯიშოების შესრულება, საკუთარი სამუშაოს კრიტიკული შეფასება, სხვათა სამუშაოს კონსტრუქციული კრიტიკა.

კომუნიკაციის უნარი

- ფლობს საკუთარი იდეების, მოსაზრებების, აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების უნარს, რაც უზრუნველყოფილია პროფესიულ-დარგობრივი თემატიკით გათვალისწინებული თანამედროვე სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და ენობრივი ქმედებების, წერილობითი და ზეპირი პრეზენტაციების პროფესიული ხერხების ცოდნით, დისკუსიების პრაქტიკით;
- შეუძლია თანამედროვე ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების თავისუფლად გამოყენება და ახალი ტექნოლოგიების ათვისება;
- აქვს საერთაშორისო კონტექსტში მუშაობის უნარი, რაც უზრუნველყოფილია კულტურათაშორისო და ენათაშორისი კომუნიკაციის პრინციპების ცოდნით.

სწავლის უნარი

- დოქტორანტურის საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების, გაანალიზებისა და რეალიზების უნარს, რაც განპირობებულია სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის პროცესში მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნით.

ღირებულებები

აცნობიერებს ფსიქოლოგიის როლსა და მნიშვნელობას ღია, დემოკრატიული და განათლებული საზოგადოების ჩამოყალიბებაში; შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

8.1.2. დარგობრივი კომპეტენციები

ცოდნა და აცნობიერება

- მაგისტრი ფლობს სფეროს ღრმა და სისტემურ ცოდნას, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებით, აცნობიერებს ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზებს;
- სიღმისეულად ერკვევა ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიაში, ზედმიწევნით იცნობს ფსიქოლოგიის თანამედროვე მიმართულებებსა და თეორიებს, პიროვნებათაშორის ურთიერთობებში არსებულ პრობლემებსა და კანონზომიერებებს, ექსპერიმენტულ გამოკვლევებს;
- შეუძლია თავისუფლად ისაუბროს ამ პრობლემების გადაჭრის გზებზე კოლეგებთანაც და არასპეციალისტებთანაც; აქვს სიტუაციის შეფასებისა და ანალიზის, პრობლემათა გადაჭრის გზების შემუშავების უნარი;
- მაგისტრი იცნობს თანამედროვე საზოგადოების სოციალურ-ფსიქოლოგიურ პრობლემატიკას, შეუძლია მასზე ზემოქმედი ფაქტორების ჩამოთვლა, შეფასება და მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური პროცესების აღწერა და დახასიათება.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

მაგისტრი ფლობს:

- ცოდნის გამოყენების უნარს, კონსტრუქციული კრიტიკის კორექტულად გამოთქმისა და მიღების უნარს;
- პროფესიულ ტერმინოლოგიას ქართულ და უცხოურ ენებზე;
- ახალ, გაუთვალისწინებელ მულტიდისციპლინარულ გარემოში მოქმედების უნარს;

მაგისტრს შეეძლია:

- კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი გზების ძიების, კვლევის დამოუკიდებლად გამოცხადების უნარს უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;
- ეფექტური პროფესიული საქმიანობა;
- ინიციატივის გამოვლენა და პირადი პასუხისმგებლობის აღება.

8.2. მაგისტრის პროფესიული საქმიანობის სფერო და ობიექტი

ა) სწავლის პროცესში მიღებული თეორიული ცოდნა, შეძენილი პრაქტიკული უნარ-ჩვევები და გარკვეული კვლევითი გამოცდილება იძლევა იმის საფუძველს, რომ სოციალურ ფსიქოლოგიაში სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პიროვნებამ შეძლოს მუშაობა ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებებში, ნებისმიერ სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციაში, რომელსაც დაჭირდება პროფესიონალური ფსიქოლოგიური დახმარება და ამასთან, ითხოვს მაგისტრის აკადემიურ ხარისხს.

ბ) სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეეძლება სწავლის გაგრძელება როგორც ფსიქოლოგიის, ასევე სოციალურ მეცნიერებათა ფართო სპექტრის სადოქტორო პროგრამებზე (მაგალითად, საერთაშორისო ურთიერთობები, საზოგადოებასთან ურთიერთობები, სახელმწიფო მართვა, პოლიტიკური მეცნიერებები და სხვა).

8.3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია


საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი - **სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი სოციალურ ფსიქოლოგიაში (The Academic Degree of in Social Sciences in Social Psychology)** და ეძლევა სამაგისტრო პროგრამის გავლის დამადასტურებელი სახელმწიფოს მიერ დადგენილი

ნიმუშის დიპლომი. დიპლომთან ერთად გაიცემა ევროპის კომისიის, ევროსაბჭოსა და UNESCO/CEPES-ის მიერ შემუშავებული მოდელის შესაბამისი ორენოვანი “დიპლომის დანართი“.

8.4. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნაზე, გააჩნია მოქნილობის მაღალი დონე და აძლევს შესაძლებლობას სტუდენტს სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების არჩევის ხარჯზე შექმნას ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

პროგრამის სტრუქტურა



უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

კინოტელეოპერატორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

1. ზოგადი ინფორმაცია

- პროფესიული განათლების მეოთხე საფეხური;
- მიმართულება - ხელოვნება 08;
- დარგის სახეობა - აუდიოვიზუალური ხელოვნება 0801;
- პროფესიული სპეციალიზაცია - კინოტელეოპერატორი 080152

2. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- ა) საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მქონე პირს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების ზოგადი უნარების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში.
- ბ) პროგრამაზე სწავლის უფლება შეუძლია მოიპოვოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლესი პროფესიული პროგრამის სტუდენტმა გარე მობილობის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის და გთუნი-ს სასწავლო პროცესის რეგულირების წესის მოთხოვნათა შესაბამისად.

3. საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა კრედიტებით

საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს **ECTS** -ის 120 კრედიტის დაგროვებას. აქედან თეორიის კომპონენტს ეთმობა 50% - 60 კრედიტი; ხოლო 50% - 60 კრედიტი სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას. 1 კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს, 1 ასტრონომიული საათი = 60 წთ. კრედიტი ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას. კრედიტი დროის ერთეულში (სთ.) ასახავს სამუშაოს იმ მოცულობას, რომელიც საჭიროა სტუდენტის მიერ პროგრამის ერთი კომპონენტის ასათვისებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად.

ერთი სასწავლო წელი შედგება ორი, შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებისგან, მოიცავს 43 კვირას, მათ შორის 38 სასწავლო და სასესიო კვირას, 4 კვირას დამატებითი გამოცდებისათვის (2 კვირა თითოეულ სემესტრში), 1 კვირას საშობაო არდადეგებისათვის.

სემესტრის განმავლობაში ბაკალავრმა სასურველია დამლოს საშუალოდ 30 კრედიტი (30 კრედიტი = 750 სთ.), ხოლო წელიწადში - 60 კრედიტი, თუმცა, პროგრამის სპეციფიკიდან და სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ, აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით, სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არაუმეტეს 6 სემესტრი) განმავლობაში.

4. პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი შეესაბამება გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მისიას, იგი ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე, მიღწევადია და ნათლად არის ჩამოყალიბებული შემდეგ დებულებებში:

საოპერატორო ხელოვნების IV საფეხურის კინოტელეოპერატორის კვალიფიკაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, აღზარდოს პრაქტიკოსი ოპერატორი მხატვრული გემოვნებითა და პრაქტიკული ტექნიკური უნარ-ჩვევებით, რომელსაც შეეძლება თანავტორებთან ერთად (რეჟისორი, ასისტენტი, სცენარისტი, რეპორტიორი, ხმის რეჟისორი, გამნათებელი) ხორცი შეასხას ჩანაფიქრს - შექმნას დასრულებული დოკუმენტური და მხატვრული ნიმუშები, რომლებიც შესრულებული იქნება საეკრანო აზროვნების ყველა კანონების დაცვით, ეთიკური პრინციპებით, თანამედროვე ტექნიკის გამოყენებითა და ცოდნით, რომელიც ეფუძნება ტრადიციების გაცნობას და აღბეჭდილია დღევანდელი სულისკვეთებით.

5. პროგრამის აქტუალობა, მნიშვნელობა და მისი უზრუნველყოფა

კინოტელევიზიის კვალიფიკაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალობა განისაზღვრება საოპერატორო დარგის პოპულარობითა და მისი მრავალმხრივობით. ამას ემატება დიდი მოთხოვნილება და ინტერესი ტელეკომპანიების მხრიდან, რადგან მათ ესაჭიროებათ კვალიფიკაციური და მრავალ მხრივ პროფესიულად მომზადებული სპეციალისტები. ოპერატორის ხელოვნება წარმოადგენს პრაქტიკულ დარგს, თუმცა თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ასევე მოითხოვს კარგად განვითარებულ შემოქმედებით ხედვას, რადგან აღნიშნული დარგი თავისი საქმიანობით უკავშირდება კინოსა და ტელევიზიას, რომლებიც ქმნიან როგორც დოკუმენტურ, ისე მხატვრულ პროდუქციას და ამის ერთ-ერთი შემოქმედი არის ოპერატორი, რომელსაც ესაჭიროება როგორც დოკუმენტური, ისე მხატვრული აზროვნება და ხედვა.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი შეესაბამება გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მისიას, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე, მიღწევადაა შემდეგი გზით:

- თეორიული საგნების სწავლების საფუძველზე აყალიბებს დარგის სპეციფიკის მქონე პიროვნებას, რომელსაც შეუძლია მოვლენების სწორად აღქმა, მათი ანალიზი, სწორი დასკვნის გამოტანა.
- პრაქტიკული საგნების მეშვეობით სტუდენტი ხელოვნდება კინოტელევიზიის სპეციალობაში: განუვითარდება ორიგინალური ხედვა, შემოქმედებითი აზროვნება, შეძლებს კომპოზიციის აღქმასა და შექმნას, გაიწაფება ფოტო და ვიდეო გადაღების ტექნიკაში, ვიდეომონტაჟში, შეისწავლის სცენარის მიხედვით გადაღებების წარმოებას, რეჟისორისა და სცენარისტის/ავტორის ნააზრევს ეკრანული ვერსიის შექმნას, დამოუკიდებლად შეძლებს დასრულებული ეკრანული ნამუშევრის შესრულებას.

საოპერატორო ხელოვნების კინოტელევიზიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ამოცანებია:

- მისცეს სტუდენტს საოპერატორო ხელოვნების და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული დარგების ცოდნა.
- ოპერატორისათვის აუცილებელი ტექნიკური უნარების სათანადო დონეზე ათვისება წინამდებარე პროგრამის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, რადგან სწორედ კარგად ჩამოყალიბებული ტექნიკური უნარები წარმოადგენს ოპერატორის პროფესიულ საბაზისო ცოდნას. ჩამოყალიბოს პრაქტიკოსი ოპერატორი.

6. სწავლის შედეგები

კინოტელევიზიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს საოპერატორო ხელოვნების შემდეგი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:

6.1.1 ზოგადი კომპეტენციები

დასკვნის უნარი

ბაკალავრს შეუძლია:

- პროფესიული საქმიანობის დროს პრობლემის ამოცნობა და მის გადასაჭრელად ზომების მიღება;
- ლოგიკურად აწყობილი ეკრანული ნამუშევრის შექმნა, რომელშიც მკაფიოდ არის წარმოჩენილი მისი ძირითადი აზრი და იდეა;
- საკუთარი ნამუშევრის მიზნებთან და თემასთან შესაბამისობის არგუმენტირებულად დასაბუთება.

კომუნიკაციის უნარი

- შეუძლია ტელე და კინოოპერატორებთან, რეჟისორებთან, სცენარისტებთან, პროდუსერებთან და სხვა პროფესიის მქონე პირებთან სხვადასხვა პროფესიული თემატიკისა და მნიშვნელოვანი ასპექტის განხილვა;
- შეუძლია მშობლიურ ენაზე ზეპირად და წერილობით აზრის ჩამოყალიბების და კომუნიკაციის უნარი;
- ფლობს ინგლისურს იმ დონეზე, რომ შეუძლია სიახლის წაკითხვა და ინფორმაციის დამუშავება;

- ფლობს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენების უნარებს, კერძოდ, ელექტრონულ დოკუმენტებთან, მონაცემთა საინფორმაციო-სამიებო-საცნობარო სისტემებთან, ელექტრონულ ბიბლიოთეკებთან და პროგრამებთან მუშაობა;
- აქვს გუნდური მუშაობის უნარი, მოსაზრებების ურთიერთგაცვლის, შეჯერებისა და გაზიარების უნარი.

სწავლის უნარი

- შეუძლია დამოუკიდებლად დაამუშავოს სპეციალური ლიტერატურა და გაიღრმავოს ცოდნა;
- შეუძლია თვითგანვითარება მიღებული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების ბაზაზე;
- შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი განათლების გაღრმავების ფორმა და შინაარსი.

ღირებულებები

- შეუძლია თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა;
- პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად;
- იცნობს, აცნობიერებს და პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთარ იმიჯს გადასადებ მოედანზე.

6.1.2. დარგობრივი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება:

- იცის ევრანული ნამუშევრის შექმნის პრინციპები და მეთოდები;
 - იცის ხელოვნების ისტორია;
 - იცის მხატვრული და დოკუმენტური კინოს ისტორია;
 - განვითარებული აქვს ევრანული აზროვნება;
 - ერკვევა თანამედროვე კინოინდუსტრიასა და კინოხელოვნებაში;
 - შეუძლია ლიტერატურული სცენარის წაკითხვა და გარჩევა, ავტორის ნაზრების სწორედ აღქმა მისი ფართო ევრანული ნამუშევრის შესაქმნელად;
 - შეუძლია ევრანული ნამუშევრის გააზრება და გარჩევა ოპერატორის თვალთახედვიდან გამომდინარე;
 - იცის ტელე და კინორეჟისურის საფუძვლები;
- ერკვევა სატელევიზიო რეჟისურის საფუძვლებში.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება

ბაკალავრს შეუძლია:

- ეთიკური ნორმების დაცვით, სტანდარტული და აპრობირებული მეთოდებითა და ტექნოლოგიებით მოქმედება პროფესიულ გარემოში;
- ნაშრომის შექმნა ქალაქსა და ევრანზე;
- კონკრეტული მიზნის გათვალისწინებით მასალის მოპოვება, ანალიზი, დამუშავება;
- საკუთარი და მომიჯნავე სპეციალისტების როლის განსაზღვრა ჩანაფიქრის განხორციელებაში მხატვრულ, დოკუმენტურ და იდეურ დონეზე;
- ნამუშევრის კრიტიკული აღქმა, მის სრულყოფაზე ზრუნვა, მიზნისკენ სწრაფვა;
- ტექნიკის სრულყოფილად გამოყენება - ვიდეო და ფოტოკამერა, განათება, კომპიუტერული გრაფიკა, სამონტაჟო და სხვა;
- სხვისი ჩანაფიქრის (სცენარის) წაკითხვა და ევრანზე დამოუკიდებლად გადატანა.

7. დასაქმების სფერო

მეოთხე საფეხურის კინოტელეოპერატორი შეიძლება დასაქმდეს ოპერატორად და/ან ოპერატორის თანამემწედ ტელევიზიაში, კინოწარმოება (მხატვრული, დოკუმენტური), საინფორმაციო სააგენტოებში, სარეკლამო კომპანიებში და სააგენტოებში, პრესცენტრებში, ვიდეო საწარმოო სტუდიაში.

8. მისანიჭებელი კვალიფიკაცია


საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება კინოტელეოპერატორის მე-4 საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და ეძლევა პროგრამის გავლის დამადასტურებელი სახელმწიფოს მიერ დადგენილი

ნიმუშის დიპლომი. დიპლომთან ერთად გაიცემა ევროპის კომისიის, ევროსაბჭოსა და UNESCO/CEPES-ის მიერ შემუშავებული მოდელის შესაბამისი ორენოვანი “დიპლომის დანართი“.

9. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა მოდულურ პრინციპზეა დაფუძნებული და ნათელ წარმოდგენას უქმნის სტუდენტს სწავლების შედეგების მისაღწევ გზაზე. პროგრამის სტრუქტურას შემდეგი სახე აქვს:

პროგრამის სტრუქტურა



III. სასწავლო პროცესის ორგანიზაცია

- 3.1. უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის ორგანიზაცია ეფუძნება კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემას (ECTS) და მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამით, რომელიც დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ. განათლების აქცენტი გადატანილია არა მხოლოდ ცოდნის დაუფლებაზე, არამედ მის გამოყენებაზე, სწავლების შედეგებზე - კომპეტენციებზე.
- 3.2. სტუდენტებს, რომლებიც საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადებში ვერ მოიპოვებენ შესაბამის აკადემიურ ხარისხს, უფლება აქვთ თვითდაფინანსების გზით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმით დაასრულონ სასწავლო პროგრამა.
- 3.3. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამის კორექტირება შესაძლოა მოხდეს მხოლოდ სასწავლო წლის დაწყებამდე.
- 3.4. სტუდენტებისთვის დადგენილია არდადეგები წელიწადში 2-ჯერ, რომელთა ხანგრძლივობა განისაზღვრება რექტორის მიერ დამტკიცებული სასწავლო წლის გრაფიკით.
- 3.5. უნივერსიტეტში სალექციო, სასემინარო და პრაქტიკული მეცადინეობების საათების ხანგრძლივობა არის 45 წუთი. ლექციებს შორის შესვენა არის 15 წუთი.
- 3.6. საგანმანათლებლო კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ECTS ევროპულ სისტემას გამჭვირვალეს და გასაგებს ხდის კრედიტების განაწილებაში სასწავლო კურსების ჯგუფების და დონეების გათვალისწინება. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა შეიცავს სხვადასხვა მოდულებში განაწილებულ სასწავლო კურსების ორ ჯგუფს:
 - ა) **Compulsory** - სავალდებულო სასწავლო კურსების ჯგუფი;
 - ბ) **Electives** სასწავლო კურსები, რომელთაც სტუდენტი შეისწავლის საკუთარი სურვილის მიხედვით.

სასწავლო კურსების დაყოფას დონეების მიხედვით შეიძლება შემდეგი სახე ჰქონდეს:

 - ა) **Basic** – საბაზისო დონის კურსი, ითვალისწინებს სასწავლო კურსის შესწავლას ზოგად დონეზე;
 - ბ) **Intermediate** – საშუალო დონის კურსი (განკუთვნილია საბაზისო დონის გასაღრმავებლად);
 - გ) **Specialized** – სპეციალური დონის კურსი (განკუთვნილია კონკრეტულ სფეროში ან კონკრეტულ დისციპლინაში ცოდნისა და გამოცდილების ფორმირებისათვის).
 - დ) **Advanced** - მაღალი დონის კურსი (განკუთვნილია პროფესიონალური ცოდნის შემდგომ გასაღრმავებლად);

სასწავლო კურსების კოდში სიმბოლოებად გამოყენებულია დისციპლინის თვისებების ინგლისური დასახელების პირველი სიმბოლოები, ხოლო თანმიმდევრობის სქემა მოცემულია ცხრილში.

სასწავლო კურსების ჯგუფი	სასწავლო კურსების დონე	კრედიტების რაოდენობა	კვირაში საათების რაოდენობა	კვირაში სალექციო საათების რაოდენობა	კვირაში პრაქტიკული საათების რაოდენობა	კვირაში საკონსულტაციო საათების რაოდენობა
C	I	5	3	1	2	1

მაგალითად, დისციპლინის ცხრილში მოცემული კოდი **CI 5-3-1-2-1** ითვალისწინებს სტუდენტის მიერ არჩეულ სავალდებულო (**Compulsory**), საშუალო დონის (**Intermediate**) 5 კრედიტის მქონე სასწავლო კურსს, რომლისთვისაც: კვირაში საათების რაოდენობა არის 3, სალექციო საათების რაოდენობა კვირაში არის 1, პრაქტიკული საათების რაოდენობა კვირაში არის 2 და საკონსულტაციო საათების რაოდენობა კვირაში არის 1.

3.7. საგანმანათლებლო პროგრამაში სპეციალობის (სპეციალიზაციის) სასწავლო მოდულის არჩევის გამჭვირვალობა

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს, მიმართულების მოდულით გათვალისწინებული კრედიტების დაგროვების შემდეგ აირჩიოს პროგრამაში შეთავაზებული სპეციალობის მოდულებიდან ერთ-ერთი.

